



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE



# საქართველოში არსებული კონფლიქტები: აღქმები, დამოკიდებულებები, მოლოდინები

## 2024

## ანგარიში

კვლევა და ანგარიში „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“, „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდისა“ და „კავკასიური სახლის“ დაკვეთით მოამზადა „CRRC-საქართველომ“.



Taking COBERM further:  
UK in Support of Sustainable Peace (UK-SSP)



კვლევა ჩატარდა პროექტის „კონფლიქტების ტრანსფორმაციისათვის საქართველოში: მზადება ცვლილებებისათვის“ („Towards transforming conflicts in Georgia: Getting ready for the time of change“) ფარგლებში. კვლევის მოსამზადებელ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“, „ლევან მიქელაძის ფონდისა“ და „კავკასიური სახლის“ წარმომადგენლები, ასევე კონფლიქტების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ფართე ჯგუფი.

ანგარიში გამოქვეყნდა „COBERM-ის შემდგომი განვითარება: გაერთიანებული სამეფო მდგრადი მშვიდობის მხარდასაჭერად“ (UKSSP) ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა (UK) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას. გამოცემის შინაარსი წარმოადგენს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“, „ლევან მიქელაძის ფონდის“, „კავკასიური სახლისა“ და „CRRC-საქართველოს“ პასუხისმგებლობას და არცერთ შეთხვევაში უნდა იქნას აღქმული, როგორც UK-ის ან UNDP-ს მოსაზრება.

#### **ავტორები:**

**თამარ ხომტარია (CRRC-საქართველო)**

**ეთერ გაგუნაშვილი (CRRC-საქართველო)**

ავტორები მადლობას უხდიან CRRC-საქართველოს უმცროს მკვლევრებს, თამარ უზუნაშვილს, თინათინ გაგოშიძეს, ნინო ლობჯანიძეს და მკვლევარ ზაქარი ფაბოსს ანგარიშის ინგლისურ ენაზე თარგმნისა და რედაქტირებისთვის.

## სარჩევი

შესავალი .....	4
ძირითადი მიგნებები.....	6
მეთოდოლოგია .....	8
რაოდენობრივი კომპონენტი.....	8
თვისებრივი კომპონენტი.....	8
კვლევის შედეგები.....	10
1. კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია .....	10
2. დაპირისპირებულ მხარეებთან ურთიერთობები/არსებული მიდგომები.....	16
3. სოციალურ-კულტურული გაუცხოება.....	19
4. კონფლიქტების საფასური.....	23
5. წარსულის შეფასება და კონფლიქტის აღქმა .....	26
6. სამშვიდობო პროცესის აქტორები და მექანიზმები.....	30
7. გარე ფაქტორების გავლენა და მოლოდინები.....	38
8. წარმოდგენები კონფლიქტის მოგვარებაზე/ტრანსფორმაციაზე.....	40
9. დროის ფაქტორი კონფლიქტების მოგვარებაში.....	46
10. ახლებური მიდგომებისადმი მზადყოფნა. ხელშემწყობი და ხელშემშლელი მიზეზები 48	
დანართი 1 – რაოდენობრივი მონაცემების ცხრილები .....	51
დანართი 2 – დეტალური მეთოდოლოგია .....	80

## შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში, ისე როგორც 2008 წელს, აფხაზეთსა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში განვითარებული მოვლენები დღემდე მტკივნეულ თემად რჩება ქართული მოსახლეობისთვის. 1990-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციამ ხელი შეუწყო ეთნიკურ დაპირისპირებას და სეპარატიზმს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რის შედეგადაც 1991-92 წლებში სამხედრო დაპირისპირება მოხდა ცხინვალის რეგიონში საქართველოს სამთავრობო ძალებსა და ოს სეპარატისტებს შორის, ხოლო 1992-93 წლებში აფხაზეთში აფხაზ სეპარატისტებთან და მათ დამხმარე რუსეთიდან შემოსულ გასამხედროებულ შენაერთებთან. სხვადასხვა წყაროს (მათ შორის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლის) მიხედვით, აფხაზეთის ომის შედეგად 10,000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 200,000-ზე მეტი ეთნიკური ქართველს კი რეგიონის დატოვება მოუწია<sup>1</sup>. ხოლო 1992-93 წლებში ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათასამდე ადამიანი, 70 ათასამდე კი გაძევებული იქნა საცხოვრებელი სახლებიდან<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა, 2008 წელს კონფლიქტი განახლდა და რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის შედეგად, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაიწვა და მთლიანად განადგურდა ორმოცდაათამდე ქართული სოფელი. საკუთარი სახლებიდან გააძვეს 130 ათასამდე, ძირითადად ეთნიკური ქართველი. დღევანდელი მონაცემებით, ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა რაოდენობა 300 ათასს აღწევს<sup>3</sup>.

საერთაშორისო საზოგადოება არ სცნობს არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ შეასრულოს საფრანგეთის პრეზიდენტ ნ. სარკოზის შუამავლობით დადებული 6-პუნქტიანი გეგმა<sup>4</sup> და მისმა ჯარებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დატოვონ.

2008 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“<sup>5</sup> აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად გამოცხადდა ოკუპირებულ ტერიტორიებად, რომლებიც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლდება.

ამ ყველაფრის ფონზე საინტერესოა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აღქმები და დამოკიდებულებები არსებული კონფლიქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. მნიშვნელოვანია დაკვირვება იმაზე, თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა დროის სვლას კონფლიქტების დარეგულირების პროცესში: როგორც საფრთხეს თუ როგორც შესაძლებლობას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად

<sup>1</sup><https://www.icrc.org/sites/default/files/external/doc/en/assets/files/other/georgia.pdf>

<sup>2</sup><https://www.unhcr.org/publications/refugees-magazine-issue-117-idps-particularly-complex-problem>

<sup>3</sup><https://www.moh.gov.ge/ipd.php?uid=202312221453586198427466&lang=1&v=0>

<sup>4</sup>[https://iccn.ge/index.php?article\\_id=301&clang=0](https://iccn.ge/index.php?article_id=301&clang=0)

<sup>5</sup><https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7>

ახდენს მოსახლეობა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დისტანცირებას დიდი გეოპოლიტიკური სურათიდან და ხედავენ თუ არა შესაძლებლობას, რომ კონფლიქტები მშვიდობიანად ტრანსფორმირდეს მათ საბოლოო მოგვარებამდე.

ეს ანგარიში ეფუძნება 2024 წლის ზაფხულში ჩატარებულ საქართველოს ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლობით გამოკითხვას და მიზნად ისახავს საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ ამ ადამიანების აღქმების, დამოკიდებულებებისა და მოლოდინების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მასშტაბის დეტალური კვლევა საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით აქამდე არ ჩატარებულა.

შესავლის შემდეგ ანგარიშში მოცემულია ძირითადი მიგნებები, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის დეტალური შედეგები. ეს უკანასკნელი მოიცავს გამოკითხვის ფარგლებში შემავალ ყველა საკითხს: კონფლიქტის შესახებ ინფორმირებულობას, დაპირისპირებულ მხარეებთან ურთიერთობებს, სოციალურ-კულტურული გაუცხოების საკითხებს, წარსულის შეფასებას და კონფლიქტის აღქმას, სამშვიდობო პროცესების აქტივობასა და მექანიზმებს, გარე ფაქტორების გავლენებს, წარმოდგენებს კონფლიქტის მოგვარების საკითხის შესახებ და ახლებური მიდგომების მიმართ მზაობას. ანგარიშის ბოლოს დანართის სახით მოცემულია ცხრილები რესპონდენტთა პასუხების პროცენტული განაწილებით და დევნილი და არადევნილი მოსახლეობის პასუხების შედარება.

## ძირითადი მიგნებები

- მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56%) საერთოდ არ არის (19%) ან ნაკლებად არის ინფორმირებული (37%) აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხოლოდ 9%-მა აღნიშნა, რომ „სრულად არის ინფორმირებული“, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი (35%) „გარკვეულწილად ინფორმირებულია“.
- უმრავლესობა (58%) თვლის, რომ ქართული მასმედიის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ „არ არის საკმარისი“ (34%) ან „საერთოდ არ არის საკმარისი“ (24%).
- მოსახლეობის უმრავლესობა „საერთოდ არ იცნობს“ (43%) ან „თითქმის არ იცნობს“ (25%) საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და/ან სამშვიდობო ინიციატივებს. რაც შეეხება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან საექსპერტო წრეების საქმიანობას, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საკითხებზე მუშაობენ, მათ მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი პროცენტი „საერთოდ არ იცნობს“ (51%) ან „თითქმის არ იცნობს“ (25%).
- საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 17% ამბობს, რომ პირადად იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს (გარდა გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობისა). ხოლო შედარებით ნაკლები (13%) იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (გარდა ახალგორში მცხოვრები მოსახლეობისა).
- გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ 80%-ზე მეტი თანახმაა საქმიან ურთიერთობებზე როგორც აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთან (85%), ისე ცხინვალში მცხოვრებ ოსთან (83%).
- თითქმის 90% თანახმაა მეგობრობაზე როგორც აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთან (89%), ისე ცხინვალში მცხოვრებ ოსთან (88%).
- თითქმის 80% თანახმა იქნებოდა, რომ მისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს როგორც აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზზე (78%), ისე ცხინვალში მცხოვრებ ოსზე (77%).
- თუკი მოსახლეობის სამი მეოთხედი (75%) ამბობს, რომ მათთვის „აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, აჭარელი და სხვა“, ოსებზე იგივეს მოსახლეობის ორი მესამედი (66%) ამბობს.
- რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მომხდარ სამხედრო დაპირისპირებაზე. მოსახლეობის 55% პასუხისმგებლობას ძირითადად რუსულ მხარეს აკისრებს. ამასთან, 15% ამბობს, რომ პასუხისმგებლობა ქართულ, ოსურ და რუსულ მხარეებს თანაბრად აქვთ, ხოლო მხოლოდ 6% ამ პასუხისმგებლობას რუსულ და ოსურ მხარეებს აკისრებს.
- რესპონდენტების აზრით, დევნილ მოსახლეობას ყველაზე მეტად შემდეგი საკითხები აწუხებთ: ახლობლების/ოჯახის წევრების დაკარგვით მიღებული ტრავმა (93%), დაკარგული ქონების კომპენსაციის საკითხი (89%), თავისუფალი გადასვლის პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში (85%) და სახლში დაბრუნების საკითხი (84%).
- ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, აფხაზეთს ან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონს შორის პირდაპირი სატრანსპორტო დერეფნის გახსნა „სრულიად მისაღებია“ 52%-ისთვის და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ 25%-ისთვის.

- მოსახლეობის 84% ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა აწარმოებდეს პირდაპირ დიალოგს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.
- ქართული მოსახლეობის დიდი წილი (82%), „სრულიად ეთანხმება“ (46%) ან „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“ (36%) მოსაზრებას, რომ „აფხაზებსა და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა გაიაზრონ წარსულში დაშვებული შეცდომები“.
- ქართული მოსახლეობის თითქმის 2/3 (65%), „სრულიად ეთანხმება“ (32%) ან „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“ (33%) მოსაზრებას, რომ „აფხაზებსა და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, ქართულმა მხარემ გაიაზროს წარსულში დაშვებული შეცდომები“.
- მოსახლეობის 35%-ისთვის „სრულიად მისაღებია“ და 30%-ისთვის „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები იღებდნენ სოციალურ და ჰუმანიტარულ დახმარებას საქართველოს მთავრობისგან.
- მოსახლეობის უმრავლესობა (73%) „სრულიად ეთანხმება“ (20%) ან „ეთანხმება“ (53%) მოსაზრებას, რომ „სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართულობა დადებითად/უკეთესობისკენ შეცვლის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს“. კიდევ უფრო დიდი პროცენტი (80%) „სრულიად ეთანხმება“ (23%) ან „ეთანხმება“ (56%) მოსაზრებას, რომ „სამშვიდობო პროცესებში დევნილების ჩართულობა დადებითად/უკეთესობისკენ შეცვლის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს“.
- საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობას (61%), სჯერა, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე დადებით გავლენას მოახდენს. დაახლოებით მსგავსი შედეგებია (56%), როდესაც რესპონდენტებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გავლენაზე ვკითხეთ.
- ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი, რომელიც, მოსახლეობის აზრით, ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობებს გაუმჯობესებდა - რუსეთის ჩაურევლობაა (30%). ამასთანავე, მოსახლეობის თითქმის იმდენივე წილი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად ხელშემწყობი გარემოება, რომელიც ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს - ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (29%) და ახალი მიდგომების და პოლიტიკის შემუშავებაა (28%).
- მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქართულ-აფხაზური (59%) და ქართულ-ოსური (58%) ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა წარმომადგენლობითი რაოდენობრივი გამოკითხვა, ხოლო თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 5 ფოკუსჯგუფი დევნილ მოსახლეობასთან. დეტალური ინფორმაცია რაოდენობრივ კომპონენტზე მოცემულია დანართ 2-ში.

## რაოდენობრივი კომპონენტი

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში, 2024 წლის 29 მაისიდან 2 ივლისის ჩათვლით ჩატარდა მოსახლეობის პირისპირი გამოკითხვა კომპიუტერული პლანშეტების გამოყენებით.

კვლევის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრები და ქართულ ენაზე მოსაუბრე სრულწლოვანი (18 წლის და უფროსი) ადამიანები, გარდა იმ მოსახლეობისა, ვინც ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს. პირისპირი რაოდენობრივი ინტერვიუები ჩატარდა ქართულ ენაზე.

შერჩევა წარმომადგენლობითია როგორც ქვეყნის კონტროლირებად ნაწილზე მცხოვრები (ქართულ ენაზე მოსაუბრე) მოსახლეობისთვის, ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლებისთვის ცალ-ცალკე. საერთო ჯამში, 1995 დასრულებული ინტერვიუ ჩატარდა, ხოლო გამოპასუხების დონე 35.5%-ს შეადგენს.

ანგარიშში წარმოდგენილია გამოკითხვის ფარგლებში დასმული კითხვების ზოგადი სიხშირეები და ასევე განსხვავებები დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის იმ შემთხვევაში, თუ ეს განსხვავებები სტატისტიკური ტესტის („ხი-კვადრატი“ ტესტის) საფუძველზე დადასტურდა. ცხრილები წარმოდგენილია დანართ 1-ში. რიგ შემთხვევაში ასევე წარმოდგენილია განსხვავებები სქესის, ასაკობრივი ჯგუფების და დასახლების ტიპის მიხედვით.

რაოდენობრივი მონაცემთა ბაზა და მონაცემები მოცემულია CRRC-საქართველოს ვებგვერდზე.

შენიშვნა: წონით კოეფიციენტების დამრგვალების გამო ონლაინ მონაცემთა ბაზას<sup>6</sup>, Stata და SPSS ფორმატის მონაცემთა ბაზების სიხშირული ანალიზისას შესაძლოა იყოს მცირე განსხვავებები. მოცემულ ანგარიშში მოყვანილი მონაცემები დათვლილია SPSS-ის გამოყენებით.

## თვისებრივი კომპონენტი

რაოდენობრივი მონაცემების გარდა, ანგარიშში ასევე არის წარმოდგენილი თვისებრივი მონაცემები, რომლებიც ეფუძნება 2024 წლის აგვისტოში ჩატარებულ ხუთ ფოკუსჯგუფს დევნილ მოსახლეობასთან. ხუთივე ფოკუსჯგუფი ონლაინ, “Zoom“-ის პლატფორმის საშუალებით

<sup>6</sup><https://caucasusbarometer.org/ge/ch2024ge/codebook/>



ჩატარდა. ფოკუსჯგუფების მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა ასაკის და სქესის დევნილები, რომლებიც ამჟამად თბილისში, იმერეთში, სამეგრლოსა და შიდა ქართლში ცხოვრობენ:

ფოკუსჯგუფი 1: 1990-იანებში დევნილები, რომლებიც 1980 წლამდე დაიბადნენ და ახლა თბილისში ცხოვრობენ. სულ 7 მონაწილე: 4 ქალი, 3 კაცი.

ფოკუსჯგუფი 2: 1990-იანებში დევნილების შვილები, რომლებიც 1981 წელს ან მერე დაიბადნენ და ახლა თბილისში ცხოვრობენ. სულ 7 მონაწილე: 4 ქალი, 3 კაცი.

ფოკუსჯგუფი 3: 1990-იანებში დევნილები, რომლებიც 1980 წლამდე დაიბადნენ და ახლა იმერეთში ან სამეგრელოში ცხოვრობენ. სულ 8 მონაწილე: 4 ქალი, 4 კაცი.

ფოკუსჯგუფი 4: 1990-იანებში დევნილების შვილები, რომლებიც 1981 წელს ან მერე დაიბადნენ და ახლა იმერეთში ან სამეგრელოში ცხოვრობენ. სულ 8 მონაწილე: 4 ქალი, 4 კაცი.

ფოკუსჯგუფი 5: 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილები, რომლებიც ახლა შიდა ქართლში ცხოვრობენ. სულ 8 მონაწილე: 4 ქალი, 4 კაცი.

# კვლევის შედეგები

## 1. კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56%) საერთოდ არ არის (19%) ან ნაკლებად არის ინფორმირებული (37%) აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხოლოდ 9%-მა აღნიშნა, რომ „სრულიად არის ინფორმირებული“, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი (35%) „გარკვეულწილად ინფორმირებულია“ (დანართი 1, ცხრილი 1).

ამ მხრივ განსხვავებები არ დაფიქსირდა სქესისა და დევნილობის ცვლადის მიხედვით, თუმცა, გარკვეული განსხვავებები არსებობს დასახლების ტიპის მიხედვით. დედაქალაქში მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის უფრო დიდი წილი საერთოდ არ არის (25%, 15%-თან შედარებით) ან ნაკლებად არის ინფორმირებული (37%, 32%-თან შედარებით) აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მეორე მხრივ, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, თბილისის მოსახლეობის უფრო დიდი წილი ამბობს, რომ „სრულიად“ (13%, 7%-თან შედარებით) ან „გარკვეულწილად ინფორმირებულია“ (40%, 30%-თან შედარებით). რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებებს, კითხვაზე, თუ საიდან იღებენ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ<sup>7</sup>, კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს ქართულენოვანი ტელევიზია (76%), სოციალური მედია (31%), ინტერნეტი (სოციალური მედიის გარდა) (30%), ოჯახის წევრები, თანამშრომლები, მეგობრები (12%) და სხვა წყაროები (5%). რუსულენოვანი ტელევიზია მხოლოდ 1%-მა დაასახელა ინფორმაციის წყაროდ (დანართი 1, ცხრილი 2).

მცირე განსხვავებები არსებობს დემოგრაფიული ცვლადების, კერძოდ კი – სქესის, ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვით დაყოფისას. მაგალითად, ქალებთან შედარებით (28%) მამაკაცთა უფრო დიდი წილი (35%) ასახელებს სოციალურ მედიას, როგორც ინფორმაციის წყაროს. ახალგაზრდები (18-34 წლის), უფროს თაობებთან შედარებით, ასევე, უფრო ხშირად ასახელებენ სოციალურ მედიას, როგორც ინფორმაციის წყაროს (47%, 32%-თან (35-54 წლის) და 15%-თან (55 წლის და უფროსი) შედარებით). დაბოლოს, დედაქალაქში მცხოვრები ადამიანების უფრო დიდი წილი (42%) ასახელებს სოციალურ მედიას, სხვა ქალაქების (26%) და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით (24%).


ახალგაზრდები და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა ასევე უფრო ხშირად ასახელებენ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის წყაროს, საიდანაც იღებენ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ამ მხრივ მცირე განსხვავებები ვლინდება დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორისაც. მაგალითად, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ამბობს, რომ ინფორმაციას იღებს ოჯახის წევრებისგან, თანამშრომლებისგან ან

<sup>7</sup>კითხვა დაესვათ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ სრულიად, გარკვეულწილად, ან ნაკლებად ინფორმირებულნი არიან. არ დაესვათ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებულნი.

მეგობრებისგან (20%, 11%-თან შედარებით) და აფხაზეთში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისგან (11%, 3%-თან შედარებით) (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



ამ საკითხზე ფოკუსგუფის მონაწილეებმაც ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ადამიანების პასუხები. თუკი აფხაზეთიდან დევნილებს გარკვეული კონტაქტები და კავშირები აქვთ ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასთან და, შესაბამისად, გარკვეულ ინფორმაციას მათგან იღებენ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ აღარავინ დარჩათ სამხრეთ ოსეთში და, შესაბამისად, კონტაქტიც აღარავისთან აქვთ:

*„ერთი კითხვა მაქვს. ვისთან უნდა მქონდეს [კონტაქტი]? თქვენ ვინ გგონიათ ვინ მყავს იქ დარჩენილი, რომ იმისგან რამე ინფორმაცია მქონდეს. აგერ წელანაც ბრძანეს, რომ აღგვილია პირისაგან მიწისა. არაფერი არ არის და მე, მაგალითად, ჰაჰად მეკუთვნოდა, ვინც დარჩა და მერე გავიგეთ, რომ გამოწვეს იქ. სახლები რო გადაწვეს. აბა, ვისგან რა ინფორმაცია უნდა გვქონდეს“ (ქალი, 53, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი).*

სხვა დევნილები ცხინვალის რეგიონიდან ასევე ადასტურებენ, რომ ომის შემდეგ ყველანაირი ურთიერთობა გაწყდა იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან:

*“მე მყავდა კურსელი. მომძებნა, მომიკითხა. მერე მთხოვა, რომ შენი შვილების სურათები გამომიგზავნო, დავშეგობრდეთ, რაღაც გავიხსენოთ წარსული და მერე ერთ მშვენიერ დღესაც მირეკავს, რომ მეო ჩემმა შვილებმა ამიკრძალოსო შენთან ურთიერთობაო და აღარც შეეცადოო, არც შენი შვილების სურათები გამომიგზავნოო და აღარასდროს დამირეკოო და დავანებე თავი.” (ქალი, 50, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი).*

ამ მიგნებებისგან განსხვავებით, აფხაზეთიდან დევნილი ფოკუსჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მათი ინფორმაციის წყარო იქ მცხოვრები მოსახლეობა და სოციალური ქსელებია, რომელთა დახმარებითაც აფხაზეთში დარჩენილი ადამიანები მათ ინფორმაციას აწვდიან და სურათებს უგზავნიან:

*„...ძალიან გაადვილდა ურთიერთობა და გვაქვს კონტაქტი ერთმანეთთან, მაგრამ უკვე თითქმის ახალგაზრდები ჩვენს მხარეზე აღარ არიან, მაგრამ ამ სოციალური ქსელით რაღაც-რაღაცებს ვგებულობთ, რაღაც სურათებს გვიგზავნიან სახლის, და აი რაღაც დონეზე ურთიერთობა გვაქვს, მაქვს, მე პირადად“ (ქალი, 48 წლის, დევნილი აფხაზეთიდან, თბილისი).*

აფხაზეთიდან დევნილთა ნაწილს (მაგალითად, პროფესიით ექიმებს) ასევე აქვს პირდაპირი კონტაქტი იმ ადამიანებთან, რომლებიც გალის რაიონში ცხოვრობენ და მუშაობენ, რადგან მათ შეხვედრიან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე გამართულ კონფერენციებზე, ტრენინგებზე. სხვებს მეგობრები ჰყავთ დარჩენილი აფხაზეთში და მათგან იღებენ ინფორმაციას: *„ხო, ჩვენც, მეგობრები აფხაზეთი იქ გვყავს დარჩენილი, რომელთანაც გვაქვს ურთიერთობა, არ დაგვიკარგავს. ბევრი რაღაცის გადაფასებაც მოახდინეს, როგორც ჩვენ, ისევე მათ, ვისთანაც კომუნიკაცია მე მაქვს. ძირითადად მათგან ვიღებთ ინფორმაციას“ (კაცი, 58, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).*

გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს იმაზე, თუ რა ტიპის ინფორმაციას იღებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით<sup>8</sup>. უმრავლესობა (64%) პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით იღებს ინფორმაციას. 39% ამბობს, რომ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებს, 26%-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ხოლო 21% – კულტურულ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

განსხვავებები ვლინდება დასახლების ტიპის მიხედვით: დედაქალაქსა (69%) და სხვა ქალაქებში (64%) სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით (58%) უფრო ხშირად ახსენეს, რომ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით იღებენ ინფორმაციას. ზოგადად, სხვა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით, დედაქალაქში უფრო ხშირად ასახელებენ ინფორმაციის მიღებას ეკონომიკურ, კულტურულ თუ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით.

<sup>8</sup>კითხვა დაესვათ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ სრულიად, გარკვეულწილად, ან ნაკლებად ინფორმირებულნი არიან. არ დაესვათ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებულნი.

თუკი გენდერულ ქრილში შევადარებთ კვლევის შედეგებს, ვნახავთ, რომ მამაკაცები (30%) ქალებთან (23%) შედარებით უფრო ხშირად ასახელებენ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მცირე განსხვავებები არსებობს დევნილი და არადევნილი მოსახლეობის პასუხებს შორისაც. მაგალითად, დევნილი მოსახლეობის 53% ამბობს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებს, მაშინ როდესაც პასუხის ეს ვარიანტი არადევნილი მოსახლეობის გაცილებით ნაკლებმა პროცენტმა დაასახელა (38%) (დანართი 1, ცხრილი 4).

ეს მონაცემები შეგვიძლია თვისებრივი მონაცემებით გავამყაროთ. ფოკუსჯგუფების დროს აფხაზეთიდან დევნილი რესპონდენტები ყვებიან, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ადამიანები მათ უამბობენ იქაურ მდგომარეობაზე. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მდგომარეობა აფხაზეთში არ იცვლება და საკმაოდ მძიმეა ადამიანის უფლებების მხრივ:

*„ზოგადი ინფორმაცია [მაქვს], აი, ახლობლების საშუალებით თუ ვლებულობთ ინფორმაციას, რა ხდება. ძირითადად არ იცვლება არაფერი. როგორც იყო ისე არის ადამიანის უფლებები, პრაქტიკულად არ არსებობს იქ და აქედან გამომდინარე არ იცვლება არაფერი. რაც იყო იგივე არის. იგივე არის დამოკიდებულება აფხაზეთის მხრიდან ჩვენი მოსახლეობის მიმართ“ (კაცი, 45 წლის, დევნილი აფხაზეთიდან, იმერეთი).*

სხვა რესპონდენტებიც ასევე აღნიშნავენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ საკმაოდ უარყოფითია. ზოგი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ ქართველების შიში.

აღსანიშნავია ასევე, რომ ფოკუსჯგუფების მონაწილეების თქმით, აფხაზეთში გაიზარდა მოსახლეობის უკმაყოფილება რუსეთის მიმართ:

*„თვითონ აფხაზები არიან მთავრობის ძალიან უკმაყოფილო. სულ არის გამოსვლები ძან ხშირად, რომ წინააღმდეგი არიან, რომ იყიდება ტერიტორიები მანდ(სხვებზე-რუსებზე) სხვისდება ეს ყველაფერი ხალხის დაუკითხავად. წინააღმდეგები არიან იმისი, რომ რუსების დაფინანსება მათამდე არ მოდის“ (ქალი, 57 წლის, დევნილი აფხაზეთიდან, იმერეთი).*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთშიც ხდება გარკვეული მოსაზრებებისა და შეხედულებების გადაფასება. მაგალითად, თუკი ახალგაზრდა თაობა ქართველების ზიზღით იზრდებოდა, ახლა რუსეთის მიმართ გაჩენილმა უკმაყოფილებამ ისინი გარკვეულ საკითხებზე თავიდან დააფიქრა და შეხედულებები შეაცვლევინა:

*„ის ახალგაზრდა თაობაც უკვე, ნახეთ როგორ არის, ისინიც ახდენენ რაღაცეების გადაფასებას. იმიტომ ვთქვი მე, რომ ის თაობა, რომელიც ომის შემდეგ დაიბადა, ისინი ამ ზიზღის ნიაღვარში და ამ პროპაგანდაში გაიზარდნენ და იქ ეს მტრული დამოკიდებულება, ჩვენი, როგორც მტრების ასეთებად აღქმა ამათში პატარაობიდან გამჯდარი იყო. თუმცა, ისინიც ახდენენ გარკვეული რაღაცეების გადაფასებას. ოღონდ ეს არის შედარებით, რა თქმა უნდა. ისეთი ინტენსივობით არ არის, რაც სასურველი იქნებოდა, მაგრამ რაზეც იყო საუბარი ხომ, რუსეთისთვის მიწების გადაცემა და ა.შ. ამას რომ ხედავენ, მერე უფროსი თაობა როგორ*

აპროტესტებს, ამან ალბათ განაპირობა ის, რომ გადაეფასებინათ... მაგრამ ეს ძალიან ნელი პროცესია. ამას ალბათ კიდევ დასჭირდება რაღაც სხვა საშუალებები“ (კაცი, 58, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).

კვლევის ფარგლებში, მონაწილეებს ასევე ვთხოვეთ ქართული მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეფასება. შედეგების მიხედვით უმრავლესობა (58%) თვლის, რომ ქართული მასმედიის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ „არ არის საკმარისი“ (34%) ან „საერთოდ არ არის საკმარისი“ (24%). ამასთან, ერთი მესამედი თვლის, რომ მოწოდებული ინფორმაცია „მეტ-ნაკლებად საკმარისია“, ხოლო მხოლოდ 5% თვლის, რომ „სავსებით საკმარისია“.

სხვა ქალაქებისა (51%) და სოფლის მოსახეობასთან (59%) შედარებით, თბილისის მოსახლეობის უფრო დიდი წილი (65%) თვლის, რომ ქართული მასმედიის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ „არ არის საკმარისი“ ან „საერთოდ არ არის საკმარისი“.

არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით დევნილი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი პროცენტი თვლის, რომ ქართული მასმედიის მიერ ქართული საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია „არ არის საკმარისი“ (38%, 34%-თან შედარებით) ან „საერთოდ არ არის საკმარისი“ (33%, 23%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 5).

ამ მოსაზრებას იზიარებენ ასევე ფოკუსჯგუფის მონაწილეებიც. მათი აზრით, ოკუპირებული ტერიტორიების განხილვას, ზოგადად, დიდი ყურადღება მასმედიაში არ ეთმობა:

„საზოგადოებაში განიხილება [აფხაზეთის საკითხი], როდესაც მეზობლები დასხდებიან და საუბრობენ თავიანთ გასაჭირზე. ეს არის ყველაზე დიდი განხილვა აფხაზეთის. რაც შეეხება მედიას ან რაღაც აკადემიურ ჯგუფებს, არა. ბოლოს როდის გინახავთ, რომელ ტელევიზიაში? გვაქვს საზოგადოებრივი არხი, რომელიც დაკავებულია დემრთმა იცის რითი და ერთი გადაცემა არ აქვს ან სამაჩაბლოსთან დაკავშირებით ან აფხაზეთთან დაკავშირებით. რაღაც ექსპერტები, მიმდინარე პოლიტიკაზე, პოზიცია-ოპოზიცია და ამ მამაძაღლოებზე იბარებენ პოლიტიკოსებს, თოქშოუებს მართავენ. დაიბარონ ამ [ოკუპირებული ტერიტორიების] საკითხებზე, კვირაში ან თვეში ერთხელ ერთი გადაცემა მაინც გააკეთონ. ჩვენი გადასახადიდან ფინანსდება ეს არხი, ხომ? დაიბარონ ექსპერტები, ადგილობრივი, საერთაშორისო თუ იქნება საჭირო და იმსჯელონ ამ ოკუპირებულ ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით. არ აკეთებენ. არსად არ არის ამაზე საუბარი და სამწუხაროდ ჩვენც, დევნილები რაღაცნაირად შევეგუეთ ამ სიჩუმეს ჩვენს საკითხებთან დაკავშირებით“ (კაცი, 58, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).

ცხინვალის რეგიონიდან დევნილები იმასაც აღნიშნავენ, რომ, თუ სადმე რამე შუქდება, „ძირითადად აქცენტი აფხაზეთიდან დევნილებზე უფრო მეტია და იქაურ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, ვიდრე ჩვენი“ (ქალი, 53, 2008 წლის დევნილი, შიდა ქართლი).

კვლევაში ჩართულ სუბიექტებს ასევე ვკითხეთ საქართველოს მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების იმ საქმიანობის შესახებ, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა „საერთოდ არ იცნობს“ (43%) ან „თითქმის არ იცნობს“ (25%) საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და/ან სამშვიდობო ინიციატივებს. ამ მხრივ დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის დიდი განსხვავებები არ ფიქსირდება (დანართი 1, ცხრილი 6). მეორე მხრივ, მცირე განსხვავებები იკვეთება ასაკობრივ ჯგუფებს შორის – 18-34 წლის ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) ამბობს, რომ „საერთოდ არ იცნობს“ საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და/ან სამშვიდობო ინიციატივებს; უფროს თაობებში იგივე მაჩვენებელი 41%-ია. განსხვავებები ასევე ფიქსირდება დასახლების ტიპის მიხედვით, სადაც ყველაზე არაინფორმირებული სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობაა.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან საექსპერტო წრეების საქმიანობას, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საკითხებზე მუშაობენ, მათ მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი პროცენტი „საერთოდ არ იცნობს“ (51%) ან „თითქმის არ იცნობს“ (25%) (დანართი 1, ცხრილი 7). წინა ცვლადის მსგავსად, აქაც განსხვავდება სვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ინფორმირებულობის დონე. ყველაზე არაინფორმირებული 18-34 წლის ახალგაზრდები არიან, რომელთა 60% „საერთოდ არ იცნობს“ არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან საექსპერტო წრეების საქმიანობას. უფროს თაობებში ეს მაჩვენებელი 48%-ია.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის პროგრამებს მოსახლეობის მხოლოდ 30%, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებისას მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედი (21%) იცნობს.

ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს იმ პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, რომლებზეც მათ გაეგოთ. ბევრმა ახსენა ის უპირატესობები, რომლებითაც ეთნიკური აფხაზები სარგებლობდნენ საქართველოში (უფასო სამედიცინო დახმარება, განათლება). რამდენიმე აფხაზეთიდან დევნილის თქმით, ხშირ შემთხვევაში, აფხაზები არ აფასებენ ამ შესაძლებლობებს და უკან დაბრუნებულები მადლიერებას არ გამოხატავენ: „*მადლიერი [რომ ყოფილიყო, ისეთი] მე იქ არ შემხვედრია აფხაზი. აქ ვიცი, მკურნალობდა ბევრი, მაგრამ რო გადავიდა მერე მარშრუტში, ავტობუსში რას ლაპარაკობდა ხომ მესმის... სულ გაწყვეტილებს იძახიან, გასაწყვეტლები, ასე ამბობენ ჩვენზე“* (ქალი, 62, დევნილი აფხაზეთიდან, იბერეთი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ფოკუსჯგუფის მონაწილეებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ისეთი პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, როგორებიცაა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, „მშვიდობის ფონდი“, და „ჩართულობა აღიარების გარეშე“. მონაწილეებს მხოლოდ სმენიათ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შესახებ, თუმცა, ამბობენ, რომ კანონის დეტალები არ ახსოვთ.

როდესაც რესპონდენტებს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატის შესახებ ჰკითხეს, უმრავლესობამ (74%) აღნიშნა, რომ სმენია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) შესახებ, ნახევარზე მეტს (55%) ასევე სმენია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების (GID) შესახებ. ხოლო თითქმის ერთ მესამედს (32%) სმენია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შესახებ. სამივე საერთაშორისო ფორმატის შემთხვევაში, ქალებთან შედარებით, მამაკაცები უფრო ინფორმირებულნი აღმოჩნდნენ.

ასევე, 35-54 წლის მოსახლეობა უფრო ინფორმირებულია EUMM-ისა და IPRM-ის შესახებ, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფები. ასევე, აღსანიშნავია, რომ EUMM-ისა და GID-ის შესახებ სოფლის

ტიპის დასახლებებსა და დედაქალაქში უფრო ინფორმირებულნი არიან, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში; IPRM-ის შესახებ კი დედაქალაქში ყველაზე მეტს სმენია.

ასევე, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით დევნილების უფრო დიდი წილი ამბობს, რომ სმენია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) (82%, 74%-თან შედარებით) და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების (GID) (65%, 54%-თან შედარებით) შესახებ (დანართი 1, ცხრილები, 8, 9 და 10).

## 2. დაპირისპირებულ მხარეებთან ურთიერთობები/არსებული მიდგომები


კვლევის ფარგლებში, მონაწილეებს უნდა აერჩიათ შემდეგი სამი მოსაზრებიდან ერთ-ერთი: 1. „აფხაზეთი როგორც ქართველების, ასევე აფხაზების ისტორიული სამშობლოა“; 2. „აფხაზეთი მხოლოდ ქართველების ისტორიული სამშობლოა“, 3. „აფხაზეთი მხოლოდ აფხაზების ისტორიული სამშობლოა“. მოსახლეობის უმეტესობა (54%) პირველ მოსაზრებას ეთანხმება, 44% – მეორეს, ხოლო მესამე მოსაზრებას მხოლოდ 1% დაეთანხმა (დანართი 1, ცხრილი 11). აღსანიშნავია, რომ განსხვავებები არ დაფიქსირდა სხვადასხვა დემოგრაფიული ცვლადის ჭრილში.

რესპონდენტებს იგივე შეკითხვა სამხრეთ ოსეთზე/ცხინვალის რეგიონზეც უნდა გაეცათ. „სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი როგორც ქართველების, ასევე ოსების ისტორიული სამშობლოა“ – ამ მოსაზრებას მოსახლეობის 47% დაეთანხმა, ხოლო ზუსტად ნახევარი (50%) მეორე მოსაზრებას – „სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი მხოლოდ ქართველების ისტორიული სამშობლოა“ – დაეთანხმა. წინა კითხვის მსგავსად, მესამე მოსაზრებას („სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი მხოლოდ ოსების ისტორიული სამშობლოა“) მხოლოდ 1% დაეთანხმა (დანართი 1, ცხრილი 12). ამ შემთხვევაში მცირედი განსხვავებები დაფიქსირდა რესპონდენტთა სქესის მიხედვით. მამაკაცებთან შედარებით (43%), ქალების უფრო დიდი წილი (51%) დაეთანხმა პირველ მოსაზრებას, ხოლო ქალებთან შედარებით (46%), მამაკაცთა უფრო დიდი პროცენტი (55%) დაეთანხმა მეორე მოსაზრებას. ძალიან მცირე განსხვავებები გამოვლინდა ასევე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის. დევნილთა 51% პირველ მოსაზრებას იზიარებს (არადევნილ 47%-თან შედარებით), ხოლო არადევნილი მოსახლეობის ზუსტად ნახევარი მეორე მოსაზრებას ემხრობა (დევნილი მოსახლეობის 44%-თან შედარებით).

აფხაზებისა და ოსების მიმართ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებების გასაზომად, გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებს ვკითხეთ, თანახმა იქნებოდნენ თუ არა მათთან საქმიან ურთიერთობაზე, მეგობრობასა და ქორწინებაზე. გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ როგორც აფხაზებთან (რომლებიც როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობენ), ისე ოსებთან (რომლებიც როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობენ) საქმიან ურთიერთობებზე თანახმა იქნეოდა 83-88% (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2.



ქალებთან შედარებით, საქმიანი ურთიერთობებზე უფრო მამაკაცები არიან თანახმა როგორც აფხაზეთთან, ისე ოსებთან.

აღსანიშნავია, რომ დევნილ მოსახლეობასთან შედარებით (78%), არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (85%) არის თანახმა საქმიანი ურთიერთობებზე აფხაზეთთან, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს (დანართი 1, ცხრილი 13). ანალოგიურად, დევნილ მოსახლეობასთან შედარებით (71%), არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (84%) არის თანახმა საქმიანი ურთიერთობებზე ოსებთან, რომლებიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობენ (დანართი 1, ცხრილი 15).


რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსებთან სხვა ტიპის ურთიერთობებს, მეგობრობაზე თანახმა არის 88-91%. განსხვავებები აქაც დაფიქსირდა დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის. მაგალითად, ოსებთან (რომლებიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობენ) მეგობრობაზე თანახმა არადევნილი მოსახლეობის 89%, მაშინ როდესაც დევნილი მოსახლეობის 81% ამბობს იმავეს (დანართი 1, ცხრილი 19). ასევე დაფიქსირდა მცირედი განსხვავებები რესპონდენტთა სქესის მიხედვით: ქალებთან შედარებით, მამაკაცების ცოტა უფრო დიდი წილია თანახმა როგორც აფხაზეთთან, ისე ოსებთან მეგობრობაზე.

პროცენტული მაჩვენებლები შედარებით იკლებს (77-83%), როდესაც კითხვა დაქორწინებას ეხება. მოსახლეობის 83%-მა თქვა, რომ თანახმა იქნებოდა მისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს აფხაზეთზე, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო 78% თანახმა იქნებოდა ქორწინებაზე აფხაზეთზე, რომელიც

აფხაზეთში ცხოვრობს. მსგავსი მდგომარეობაა ოსებთან მიმართებითაც. მოსახლეობის 80% თანახმაა, რომ მისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსზე დაქორწინდეს, ხოლო მცირედით ნაკლები (77%) თანახმაა მისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის ქორწინებაზე ოსზე, რომელიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება (დანართი 1, ცხრილები 21-24). თუმცა, კვლავ გამოვლინდა განსხვავებები რესპონდენტთა სქესის მიხედვით: ქალებთან შედარებით, მამაკაცები აქაც უფრო გახსნილები არიან.

საინტერესოა ასევე კვლევის ის შედეგები, რომლებიც ქართველებისა და აფხაზების/ოსების თანაცხოვრებას ეხება. მოსახლეობის უმრავლესობა (83%) „სრულიად ეთანხმება“ (35/34%) ან „ეთანხმება“ (48/49%) მოსაზრებებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთ (საერთო) სახელმწიფოში (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.



აღსანიშნავია, რომ ამ კითხვებთან მიმართებით დევნილთა და არადევნილთა პასუხებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება. არ ვლინდება განსხვავებები ასევე ქალ და კაც რესპონდენტებს შორის. თუმცა განსხვავებები იკვეთება დასახლების ტიპის მიხედვით: დედაქალაქთან შედარებით სხვა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში ადამიანების უფრო დიდ წილს სჯერა ერთ საერთო სახელმწიფოში აფხაზებსა და ოსებთან ერთად თანაცხოვრების.

### 3. სოციალურ-კულტურული გაუცხოება

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 17% ამბობს, რომ პირადად იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს (გარდა გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობისა). ხოლო შედარებით ნაკლები (13%) იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (გარდა ახალგორში მცხოვრები მოსახლეობისა). აღსანიშნავია, რომ დევნილი მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52%) პირადად იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს, ხოლო თითქმის მეხუთედი (19%) იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (დანართი 1, ცხრილები 27-28).

განსხვავებები დაფიქსირდა დასახლების ტიპის მიხედვითაც: დედაქალაქში და სხვა ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 1/5 ამბობს, რომ იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სოფლის ტიპის დასახლებაში 12%-ია. დედაქალაქის მოსახლეობის 15% ასევე იცნობს ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანს, დედაქალაქის გარეთ კი ეს მაჩვენებელი მცირედით დაბალია (9% სხვა ქალაქებსა და 13% სოფელში). ქალებთან შედარებით (10%), მამაკაცების უფრო დიდი წილი (16%) ამბობს, რომ იცნობს ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ერთ ადამიანს მაინც.

ამასთან, მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეათედი (11%) ბოლო 10 წლის განმავლობაში პირისპირ შეხვედრია ისეთ ადამიანს (ან ადამიანებს), რომელიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს (გარდა გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობისა), ხოლო უფრო ნაკლებს ჰქონია კონტაქტი ინტერნეტით (მაგალითად, სოც. ქსელში, ფორუმის მეშვეობით) (8%), ან უსაუბრია ტელეფონით (7%). ბუნებრივია, რომ არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილების უფრო დიდ წილს ჰქონია შეხება აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან. დევნილების 31% ამბობს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში პირისპირ შეხვედრია აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანს/ადამიანებს; 30%-ს ჰქონია კონტაქტი ინტერნეტით, ხოლო 24%-ს უსაუბრია ტელეფონით (დანართი 1, ცხრილი 29).

მცირე განსხვავებები დაფიქსირდა ასევე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის შედარებისას: აღსანიშნავია, რომ 18-34 წლის რესპონდენტების 13%, ხოლო 35-54 წლის რესპონდენტების 12% ამბობს, რომ პირისპირ შეხვედრია აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანს, მაშინ როდესაც ეს წილი „55+“ ასაკობრივ კატეგორიაში შედარებით უფრო ნაკლებია (8%). ახალგაზრდებთან შედარებით, 55 წლის და უფროსი თაობის ადამიანები ასევე უფრო იშვიათად აღნიშნავენ, რომ ჰქონიათ კონტაქტი ინტერნეტით (5%, 10%-თან შედარებით).

აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისგან განსხვავებით, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ნაკლებად აქვს ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობენ. მოსახლეობის მხოლოდ 5% ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანს/ადამიანებს (გარდა ახალგორში მცხოვრები მოსახლეობისა) შეხვედრიან პირისპირ. ასევე, 5%-ს ასეთ ადამიანთან/ადამიანებთან ჰქონია კონტაქტი ინტერნეტით ან უსაუბრია მასთან/მათთან ტელეფონით. წინა კითხვისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის დიდი განსხვავებები არ ფიქსირდება (დანართი 1, ცხრილი 30).

წინა კითხვის მსგავსად, აქაც მცირე განსხვავებები ვლინდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. შედეგები აჩვენებს, რომ სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (4%), 35-54 წლის კატეგორიის ადამიანების უფრო დიდი წილი (8%) შეხვედრია პირისპირ ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიან(ებ)ს. ამასთან, 35-54 წლის კატეგორიის 7% ამბობს, რომ ჰქონია კონტაქტი ინტერნეტით, რაც მცირედით აღემატება სხვა ასაკობრივი ჯგუფების ადამიანთა წილს, ვისაც ინტერნეტით კონტაქტი ჰქონია.


რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, ჰყავთ თუ არა მათ აფხაზი და ოსი მეგობრები. ქართული მოსახლეობის მხოლოდ 6%-მა აღნიშნა, რომ ჰყავს აფხაზი მეგობარი, რომელიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს, ხოლო 13%-მა აღნიშნა, რომ ჰყავს აფხაზი მეგობარი, რომელიც ამჟამად საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. ანალოგიური პროცენტული მაჩვენებლები დაფიქსირდა ოსი მეგობრების შემთხვევაში. მოსახლეობის 6%-ს ჰყავს ოსი მეგობარი, რომელიც ამჟამად სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს, ხოლო 13%-ს ოსი მეგობარი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჰყავს.

მცირე განსხვავებები გამოიკვეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. შედეგები აჩვენებს, რომ უფროს თაობებთან შედარებით (11%), 18-34 წლის ახალგაზრდების უფრო დიდ წილს (18%) ჰყავს აფხაზი მეგობარი, რომელიც ამჟამად საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. ასევე, ასეთი მეგობრის ყოლა, სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით (8%), უფრო ხშირია დედაქალაქსა (17%) და სხვა ქალაქებში (16%).

ბუნებრივია, განსხვავებები დაფიქსირდა დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის. თუკი არადევნილი მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს ჰყავს აფხაზი მეგობარი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს, დევნილი მოსახლეობის 19% ამბობს იმავეს. ასევე, არადევნილი მოსახლეობის 12% ამბობს, რომ ჰყავს აფხაზი მეგობარი, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, მაშინ, როდესაც დევნილი მოსახლეობის 30%-ს ჰყავს ასეთი მეგობარი.

რაც შეეხება ოს მეგობრებს, დევნილი მოსახლეობის 11% ჰყავს მეგობარი, რომელიც ამჟამად ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს, ხოლო 21%-ს ჰყავს ისეთი მეგობარი, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4.




აღსანიშნავია, რომ ოსი მეგობარი, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, ქალებთან (11%) შედარებით, მამაკაცებს (16%) უფრო ჰყავთ. ამასთან, ასეთი მეგობრის ყოლა სხვა ქალაქებსა (9%) და სოფლის დასახლებასთან (11%) შედარებით, თბილისში (18%) უფრო ხშირია.

ავხაზების და ოსების აღქმა საკმაოდ განსხვავებულია საქართველოს მოსახლეობაში. თუკი მოსახლეობის 3/4 (75%) ამბობს, რომ მათთვის „ავხაზი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, აჭარელი და სხვა“, ოსებზე იგივეს მოსახლეობის 2/3 (66%) ამბობს. არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, ამ მოსაზრებებს დევნილი მოსახლეობა ნაკლებად იზიარებს.

იმ ადამიანების წილი, ვინც თვლის, რომ ავხაზი და ოსი მათგან განსხვავებული/სხვა ეროვნების წარმომადგენელია, შედარებით მცირეა. მოსახლეობის 22%-ისთვის ავხაზი სხვა ეროვნების წარმომადგენელია, ხოლო 31% თვლის, რომ ოსი არის სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ამ მოსაზრებებს არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილი მოსახლეობა უფრო იზიარებს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5.



მცირე განსხვავებები არსებობს დასახლების ტიპის მიხედვითაც: თბილისთან (71%) შედარებით, პირველ მოსაზრებას, რომ „აფხაზი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, აჭარელი და სხვა“ უფრო მეტად სხვა ქალაქებში (75%) და სოფელში (78%) ეთანხმებიან. იგივე სურათია ოსებთან მიმართებითაც: თბილისთან (54%) შედარებით, პირველ მოსაზრებას, რომ „ოსი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, აჭარელი და სხვა“ უფრო მეტად სხვა ქალაქებსა (67%) და სოფელში (74%) ეთანხმებიან.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის (53%) ქართველებისა და აფხაზების კულტურა და ტრადიციები „უფრო მსგავსია, ვიდრე განსხვავებული“ (46%) ან „ძალიან მსგავსია“ (7%). ამასთან, 31% ამბობს, რომ „უფრო განსხვავებულია, ვიდრე მსგავსი“ და 5% თვლის, რომ „ძალიან განსხვავებულია“. კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 12%-ს. ამ მხრივ განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის. დევნილ მოსახლეობასთან შედარებით (45%), არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (54%) საუბრობს მსგავსებებზე (დანართი 1, ცხრილი 33).

განსხვავებები დაფიქსირდა ასევე სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით. ქალებთან შედარებით (49%), კაცების უფრო დიდი წილი (57%) საუბრობს ქართველებისა და აფხაზების კულტურისა და ტრადიციების მსგავსებებზე. ასევე, ახალგაზრდებთან (18-34) შედარებით (49%), უფროსი თაობების უფრო დიდი წილი (55%) საუბრობს მსგავსებებზე და დედაქალაქთან (50%)

და სხვა ქალაქებთან შედარებით (53%), სოფლის მოსახლეობის უფრო დიდი წილი (55%) საუბრობს ამ მსგავსებებზე.

კითხვაზე, თუ რამდენად განსხვავდება ან გავს ქართველებისა და ოსების კულტურა და ტრადიციები, მოსახლეობის 45% პასუხობს, რომ ეს ორი „უფრო მსგავსია, ვიდრე განსხვავებული“ (40%) ან „ძალიან მსგავსია“ (5%). ამასთან, 34% ამბობს, რომ „უფრო განსხვავებულია, ვიდრე მსგავსი“ და 6% თვლის, რომ „ძალიან განსხვავებულია“. კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 14%-ს. ამასთან, დევნილ მოსახლეობასთან შედარებით (28%), არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (47%) საუბრობს მსგავსებებზე (დანართი 1, ცხრილი 34).

წინა კითხვის მსგავსად, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით მოსახლეობის დაყოფისას. ქალებთან შედარებით (42%), კაცების უფრო დიდი წილი (49%) საუბრობს ქართველებისა და ოსების კულტურისა და ტრადიციების მსგავსებებზე. ასევე, ახალგაზრდებთან (18-34) შედარებით (36%), უფროსი თაობების უფრო დიდი წილი (35-54 ასაკობრივი ჯგუფის 48% და 55+ ასაკობრივი ჯგუფის 51%) საუბრობს მსგავსებებზე. და ბოლოს, დედაქალაქთან (41%) და სხვა ქალაქებთან შედარებით (43%), სოფლის მოსახლეობის უფრო დიდი წილი (51%) საუბრობს ამ მსგავსებებზე.

#### 4. კონფლიქტების საფასური

კვლევაში მონაწილე სუბიექტებს ვკითხეთ, თუ რაგვლენას ახდენს დღევანდელი მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები საქართველოს ეკონომიკაზე. უმრავლესობამ (74%) ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 19% ფიქრობს, რომ ეს გავლენა არც დადებითი და არც უარყოფითია (დანართი 1, ცხრილი 35). აქვე აღსანიშნია, რომ ქალებთან (72%) შედარებით, მამაკაცების უფრო დიდი პროცენტი (76%) აფასებს გავლენას უარყოფითად.

რესპონდენტებს ასევე უნდა ეთქვათ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ რამდენიმე მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ნატოსთან, ევროკავშირისა და რუსეთთან ურთიერთობებზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის 66% „ეთანხმება“ (47%) ან „სრულიად ეთანხმება“ (19%) მოსაზრებას, რომ მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები აფერხებს ნატოში ინტეგრაციას (დანართი 1, ცხრილი 36). ასევე, 63% თვლის, რომ ეს კონფლიქტები აფერხებს ევროკავშირში გაწევრიანებას („ეთანხმება“ 46% და „სრულიად ეთანხმება“ 17%). ამ კითხვებზე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა (დანართი 1, ცხრილი 37).

თუმცა, დაფიქსირდა განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპის მიხედვით. უფროს თაობებთან შედარებით, ახალგაზრდების უფრო დიდი წილი ეთანხმება იმას, რომ მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები აფერხებს ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებას. მაგალითად, 18-35 წლის ახალგაზრდების 71% თვლის, რომ კონფლიქტები ნატოში ინტეგრაციას აფერხებს, მაშინ, როდესაც 35-54 წლის ადამიანების 64%, ხოლო 55 და უფროსი ასაკის ადამიანების 62% მიიჩნევს იმავეს. მსგავსი სურათი იხატება ევროკავშირში გაერთიანების საკითხთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება დასახლების ტიპის


მიხედვით განსხვავებებს, სხვა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით, დედაქალაქში ყველაზე დიდი პროცენტი იმ ადამიანების, ვინც ფიქრობს, რომ მოუგვარებელი კონფლიქტები ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებას აფერხებს. მაგალითად, თბილისში 76% ფიქრობს, რომ კონფლიქტების გამო ნატოში ინტეგრაცია ფერხდება, მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებსა (65%) და სოფლებში (56%) იმავე აზრს მოსახლეობის უფრო დაბალი პროცენტი იზიარებს.

რაც შეეხება რუსეთის საკითხს, მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52%) „ეთანხმება“ (41%) ან „სრულიად ეთანხმება“ (10%) მოსაზრებას, რომ მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები შეუძლებელს ხდის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას/დარეგულირებას. ამ მოსაზრებას არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (51%) დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (63%) ეთანხმება (დანართი 1, ცხრილი 38).

კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, მათი აზრით, რამდენად აწუხებს ან არ აწუხებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას რიგი საკითხები. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ყველაზე ხშირად, რესპონდენტების აზრით, დევნილ მოსახლეობას ახლობლების/ოჯახის წევრების დაკარგვით მიღებული ტრავმა (93%), დაკარგული ქონების კომპენსაციის საკითხი (89%) და სახლში დაბრუნების (84%) საკითხები აწუხებს. რესპონდენტების აზრით, დევნილებს ასევე აწუხებთ თავისუფალი გადასვლის პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში (85%), პოსტკონფლიქტური ტრავმატული მდგომარეობა (78%), ახლანდელი საცხოვრებელი პირობები (55%). მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებმა აღნიშნა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია (46%) და საზოგადოების მხრიდან მათი სტიგმატიზაცია/განსხვავებული იარლიყის მიწებების პრობლემა (49%) (დიაგრამა 6).



დიაგრამა 6.



გარკვეული განსხვავებები დაფიქსირდა მონაცემთა დაყოფის დროს საცხოვრებელი ადგილისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, თავისუფალი გადასვლის პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში სხვა ქალაქებთან (83%) და სოფლის მცხოვრებლებთან (82%) შედარებით, უფრო ხშირად დედაქალაქის მცხოვრებლებმა (90%) აღნიშნეს<sup>9</sup>. დაკარგული ქონების კომპენსაციაზე კი, 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით (86%), 35-54 წლის მოქალაქეებმა უფრო გამახვილეს ყურადღება (92%).

მთავარი განსხვავებები დაფიქსირდა დევნილი და არადევნილი რესპონდენტების პასუხებს შორის. მაგალითად, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ასახელებს თავისუფალი გადასვლის პრობლემას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში (94%), სახლში დაბრუნების საკითხს (93%), პოსტკონფლიქტურ ტრამეატულ მდგომარეობას (86%), საზოგადოების მხრიდან მათ სტიგმატიზაციას (59%), და ახლანდელ საცხოვრებელ პირობებს (59%), როგორც საკითხებს, რომელიც დევნილ მოსახლეობას „ძალიან“ ან „საკმაოდ“ აწუხებს (დანართი 1, ცხრილები 39-46).

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს ამ საკითხზე. მათი თქმით, ტერიტორიების დაბრუნებისა და სახლში დაბრუნების თემასთან ერთად, დევნილ მოსახლეობას აწუხებს ის, რომ მათი ბინების საკითხი ვერაფრით ვერ გადაწყდა და დაკმაყოფილდა. რესპონდენტები ამბობენ,

<sup>9</sup> „ძალიან აწუხებთ“ და „საკმაოდ აწუხებთ“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დევნილებს მისცეს საცხოვრებელი, ეს საცხოვრებელი არის უხარისხო და ხელახალ რემონტს საჭიროებს. ამასთან ერთად, დევნილ საზოგადოებას ისიც აწუხებს, რომ აფხაზეთიდან თუ ოსეთიდან გადმოსული მოსახლეობა უფრო მეტ შეღავათს და სარგებელს იღებს საქართველოს მთავრობისგან, ვიდრე დევნილი მოსახლეობა. ეს მათ უსამართლობის განცდას უჩენს.

პრობლემას წარმოადგენს ასევე საზოგადოებასთან დევნილების ინტეგრაცია:

*„მე, მაგალითად, საქართველოს მოქალაქე ვარ, ეროვნებით ქართველი ვარ და რა ვიცი, ადგილობრივი რატომ უნდა მეძახდეს ლტოლვილს... მძიმე ფსიქოლოგიური მომენტი... აი, ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან ჩვენდამი დამოკიდებულება. ეს არის საზოგადოების პრობლემა. სახელმწიფო არაფერ შუაში არაა ან რომელიმე ინსტიტუტი. ეს არის დამოკიდებულება... ინტეგრაციის პროცესები ვერ იქნა სათანადოდ უზრუნველყოფილი... უარყოფითი დამოკიდებულებაა, აბა რა არის. ზემოდან გიყურებს, ეგრე გამოდის“ (კაცი, 45, დევნილი აფხაზეთიდან, იმერეთი).*

სხვები ასევე საუბრობენ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე. ამბობენ, რომ უმუშევრობის თემა ძალიან აწუხებთ: „დასაქმების პრობლემა, რა თქმა უნდა, დევნილებში არის. იმიტომ, რომ შრომისუნარიანია მოსახლეობა, დევნილები არ მუშაობენ და შესაბამისად ეკონომიურადაც უჭირთ“ (კაცი, 36, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი). ამასთან, ერთ-ერთმა ცხინვალისა და დევნილმა ახსენა, რომ 45 ლარს იღებს ზოგი დევნილი, რაც სამარცხვინოდ მიაჩნიათ:

*„იცი რა არის პრობლემა? სამასხარაო 45 ლარი დევნილებს, რომელსაც აძლევენ და ზოგიერთს რომც არ აძლევენ. პირადად მე ვმუშაობ და ხელფასი მაქვს... მე ჩემი წვალებით ვმუშაობ და ვიღებ, ის რაც დაჯარგე, რატომ იმას არ მინაზღაურებს? დევნილები არ უნდა დაჰყონ ეგრე, მუშაობ-არ მუშაობ. ჯერ 45 ლარი რა არის და იმასაც უთიშავენ და არ აძლევენ...მე არც სახლით დამაკმაყოფილო, არც ის შემწეობა არ მომცე და ზოგიერთებს ყველაფრით ხელს უწყობდე, ეს რაღაც ძალიან დიდი ღირებულებაა არის“ (კაცი, 37, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი).*

## 5. წარსულის შეფასება და კონფლიქტის აღქმა

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს წავუკითხეთ რამდენიმე მოსაზრება და ვკითხეთ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ თითოეულ მათგანს. ჩამოთვლილი მოსაზრებიდან, ქართული მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი (82%) „სრულიად ეთანხმება“ (46%) ან „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“ (36%) მოსაზრებას, რომ „აფხაზებსა და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა გაიაზრონ წარსულში დაშვებული შეცდომები“. ამ მოსაზრებას არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (81%), დევნილები (91%) უფრო ეთანხმებიან (დანართი1, ცხრილი 48). სხვა ქალაქებისა (41%) და სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (45%), დედაქალაქში უფრო დიდი წილია (51%) იმ ადამიანებისა, ვინც ამ მოსაზრებას „სრულიად ეთანხმება“.

მეორე მოსაზრება, რომელსაც მოსახლეობის ასევე 80% „სრულიად ეთანხმება“ (45%) ან „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“ (35%) ურთიერთობების ახალ დასაწყისს უკავშირდება („ურთიერთობები სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ და მხოლოდ მომავალზე ვიყოთ ორიენტირებული“) (დანართი1, ცხრილი 50). ამ დებულებასთან მიმართებით, დევნილ და არადევნილ

მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება. თუმცა, მცირე განსხვავებები გვხვდება დასახლების ტიპის მიხედვით. დედაქალაქთან შედარებით (71%), ამ მოსაზრებას უფრო სხვა ქალაქებსა (82%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (86%) ეთანხმებიან<sup>10</sup>.


მოსახლეობის უმეტესობა (73%) ასევე თვლის, რომ „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ამჟამად მცხოვრები ადამიანები კონფლიქტის ისეთივე მსხვერპლი არიან, როგორც ქართველები“. ამ მოსაზრებას მოსახლეობის ერთი მეხამედი „სრულიად ეთანხმება“, ხოლო 40% „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“. ამასთან, ამ მოსაზრებას მოსახლეობის მხოლოდ 3% „საერთოდ არ ეთანხმება“, ხოლო 8% „უფრო არ ეთანხმება, ვიდრე კი“. აქვე აღსანიშნავია, რომ არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (10%), დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (14%) არ ეთანხმება ამ მოსაზრებას (დანართი1, ცხრილი 47). განსხვავებები არსებობს ასაკობრივ ჯგუფშიც. 18-34 წლის ადამიანებთან შედარებით (68%), უფროსი თაობების შედარებით უფრო დიდი პროცენტი (სამი მეოთხედი) ეთანხმება ზემოაღნიშნულ დებულებას.

და ბოლოს, მოსაზრებას „აფხაზეთსა და ოსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, ქართულმა მხარემ გაიაზროს წარსულში დაშვებული შეცდომები“ მოსახლეობის თითქმის 2/3 ეთანხმება. აღსანიშნავია, რომ არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (18%), დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (26%) არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, თუმცა, ამასთან ისევ დევნილთა 39% გამოთქვამს სრულ თანხმობას, (დანართი1, ცხრილი 49) (დიაგრამა 7).

---

<sup>10</sup> „სრულიად ვეთანხმები“ და „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

დიაგრამა 7.




განსხვავებები აღინიშნება ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპის მიხედვითაც. 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით (59%), უფროსი თაობების შედარებით დიდი პროცენტი (68%) „სრულიად ეთანხმება“ ან „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“ მოსაზრებას, რომ „აფხაზებსა და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა, ქართულმა მხარემ გაიაზროს წარსულში დაშვებული შეცდომები“. ამ მოსაზრებას დედაქალაქთან შედარებით (56%), სხვა ქალაქებსა (71%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (68%) უფრო ეთანხმებიან.

კითხვაზე, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა 1990-იან წლებში აფხაზეთში მომხდარ სამხედრო დაპირისპირებაზე, მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46%) პასუხობს, რომ პასუხისმგებლობა ძირითადად რუსულ მხარეს ეკისრება. 22% თვლის, რომ ეს პასუხისმგებლობა, ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს თანაბრად ეკისრება, ხოლო 11% რუსულ და აფხაზურ მხარეებს ასახელებს. რუსულ მხარეს ყველაზე ხშირად მამაკაცები, 18-34 წლის ახალგაზრდები (55+ ასაკის ადამიანებთან ერთად) და თბილისის მცხოვრებები ადანაშაულებენ.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორისაც. თუკი არადევნილი მოსახლეობის 47% ასახელებს რუსეთს, ეს წილი შედარებით ნაკლებია (39%) დევნილ მოსახლეობაში, რომელთა 1/4-ზე მეტი (26%) სამივე მხარეს თანაბრად ადანაშაულებს (დიაგრამა 8).

დიაგრამა 8.



მსგავსი შედეგები დაფიქსირდა, როდესაც რესპონდენტებს კითხვა 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მომხდარ სამხედრო დაპირისპირებაზე დაუსვით. აქაც, თითქმის ნახევარმა თქვა (48%), რომ პასუხისმგებლობა ძირითადად რუსულ მხარეს ეკისრება და ამასთან დევნილი მოსახლეობის 38%-მა დააფიქსირა ეს პასუხი. წინა კითხვის მსგავსად, 22% პასუხისმგებლობას ქართულ, ოსურ და რუსულ მხარეებს თანაბრად აკისრებს, ხოლო 10% – რუსულ და ოსურ მხარეებს (დანართი 1, ცხრილი 52). რუსულ მხარეს პასუხისმგებლობას, ყველაზე ხშირად, მამაკაცები, 55+ ასაკის კატეგორია (18-34 წლის ახალგაზრდებთან ერთად), დევნილი მოსახლეობა და დედაქალაქის მცხოვრებები აკისრებენ.

ცოტათი განსხვავებული სურათი დაფიქსირდა, როდესაც რესპონდენტებს 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მომხდარ სამხედრო დაპირისპირებაზე ვკითხეთ. ამ შემთხვევაში მოსახლეობის 55% პასუხისმგებლობას ძირითადად რუსულ მხარეს აკისრებს და მხოლოდ 15% ამბობს, რომ პასუხისმგებლობა ქართულ, ოსურ და რუსულ მხარეებს თანაბრად აქვთ, ხოლო მხოლოდ 6% ამ პასუხისმგებლობას რუსულ და ოსურ მხარეებს აკისრებს. აქაც ამ შეკითხვაზე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 53), თუმცა ისევ შეიძლება ითქვას, რომ სხვა ჯგუფებთან შედარებით, ახალგაზრდები, მამაკაცები და დედაქალაქის მცხოვრებების უფრო დიდი წილი რუსულ მხარეს ადანაშაულებს 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მომხდარ სამხედრო დაპირისპირებაზე.

როდესაც კვლევაში მონაწილეებს ვკითხეთ, თუ რამდენ ხანში მოგვარდება, მათი აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები, თითქმის ნახევარს (48%) კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 24% თვლის, რომ კონფლიქტების მოგვარებას 10 წელზე მეტი ხანი დასჭირდება. 10% კი თვლის, რომ ეს კონფლიქტები არასდროს მოგვარდება. დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 54).

აღსანიშნავია, რომ ამ კითხვის შემდეგ რესპონდენტებს იგივე შეკითხვა განსხვავებული ფორმულირებით დაუსვეს: „იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი, რამდენ ხანში მოგვარდება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები?“. ამ შემთხვევაში რესპონდენტთა 1/3-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 28%-მა პასუხის ვარიანტი „1-5 წელიწადში“ აირჩია. 13%-მა თქვა, რომ ასეთ შემთხვევაში კონფლიქტები 1 წელიწადში მოგვარდება. ასევე 13%-მა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში კონფლიქტების მოგვარებას 10 წელზე მეტი ხანი დასჭირდება. ამ შემთხვევაში დევნილი მოსახლეობა არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ოპტიმისტი აღმოჩნდა. დევნილი მოსახლეობის 21% (არადევნილი მოსახლეობის 12%-თან შედარებით) თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ერთ წელიწადში მოგვარდება, ხოლო 1/3 თვლის, რომ კონფლიქტების მოგვარებას 1-5 წელი დასჭირდება (დანართი 1, ცხრილი 55).

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმაც ისაუბრეს უახლოეს მომავალში კონფლიქტების მოგვარების საკითხზე. რესპონდენტებმა, ძირითადად, აღნიშნეს, რომ „დიდი ალბათობით ათ-თხუთმეტ წელიწადში არაფერი არ შეიცვლება“ (ქალი, 59, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო). ცხინვალიდან დევნილები ასევე აღნიშნავენ, რომ რაც დრო გადის, უფრო რთული ხდება ოსებთან ურთიერთობის დალაგება. ვითარებას ისიც ართულებს, რომ, რესპონდენტების თქმით, ოსებს საშინელი ზიზღი აქვთ ქართველების მიმართ. მსგავს მოსაზრებას ასევე აღნიშნავენ აფხაზეთიდან დევნილები, რომლებმაც არაერთხელ ახსენეს აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ზიზღი და შიში ქართველების მიმართ.

## 6. სამშვიდობო პროცესის აქტორები და მექანიზმები

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ვკითხეთ, მათი აზრით, ვინ მუშაობს დღეს აქტიურად ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების საკითხებზე საქართველოში. რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის დაფიქსირების საშუალება ჰქონდათ. რესპონდენტების 38% თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება და სამინისტროები მუშაობენ აქტიურად ამ საკითხზე, ხოლო 26% საერთაშორისო ორგანიზაციებს, დონორებს, მათ პროგრამებსა და მისიებს (მაგალითად, USAID, გაერო, ევროკავშირი და მისი სადამკვირვებლო მისია – EUMM) ასახელებს. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი კი თვლის, რომ დღეს ყველაზე აქტიურად კონფლიქტების დარეგულირების საკითხებზე მოსახლეობა (14%) და სამოქალაქო სექტორი (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები) (13%) მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 1/5 თვლის, რომ ამ საკითხებზე დღეს არავინ მუშაობს, ხოლო 18%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

გარკვეული განსხვავებები იკვეთება ასაკობრივი ჯგუფების მიერ გაცემული პასუხების პროცენტულ განაწილებას შორის. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება და სამინისტროები ახალგაზრდა თაობასთან შედარებით (34%), უფრო ხშირად 35-54 (39%) და 55+ (41%) ასაკობრივმა ჯგუფებმა დაასახელეს. ასევე, დედაქალაქთან შედარებით (28%), სხვა ქალაქებსა (45%) და სოფლებში (42%) უფრო ხშირად დასახელდა საქართველოს ხელისუფლება და სამინისტროები, როგორც მხარე, რომელიც აქტიურად მუშაობს დღეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების საკითხებზე. საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები, მათი პროგრამები და მისიები სხვა ქალაქებთან შედარებით (22%) უფრო ხშირად დედაქალაქში (26%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (28%) დაასახელეს. ასევე, კაცებთან შედარებით (24%), ქალების ცოტა უფრო დიდი წილი (27%) დასახელეს პასუხის ამ ვარიანტს.

აღსანიშნავია განსხვავებები დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორისაც. მაგალითად, თუკი არადევნილი მოსახლეობის 39% დასახელეს საქართველოს ხელისუფლებას და სამინისტროებს, დევნილი მოსახლეობის შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 28%-ია. ასევე, დევნილი მოსახლეობის 26% ამბობს, რომ არავინ მუშაობს კონფლიქტების დარეგულირების საკითხზე, როცა არადევნილი მოსახლეობის უფრო პატარა პროცენტი (19%) ამბობს იმავეს. ასევე, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (13%), დევნილი მოსახლეობის ოდნავ უფრო დიდი წილი (17%) ფიქრობს, რომ მოსახლეობა მუშაობს აქტიურად კონფლიქტების დარეგულირების საკითხზე საქართველოში (დანართი 1, ცხრილი 56).

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, თუ ვის ენდობიან ისინი ყველაზე მეტად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ სამშვიდობო პოლიტიკის სწორედ წარმართვაში. ამ კითხვის შემთხვევაში, სადაც რესპონდენტებს მხოლოდ ერთი პასუხის გაცემის შესაძლებლობა ჰქონდათ, პასუხების 1/3 საქართველოს ხელისუფლებას და სამინისტროებს შეხვდა, ხოლო თითქმის 1/5-მა საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები, მათი პროგრამები და მისიები (მაგალითად, USAID, გაერო, ევროკავშირი და მისი სადამკვირვებლო მისია – EUMM) დაასახელა. 16%-მა თქვა, რომ არავის ენდობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ სამშვიდობო პოლიტიკის სწორად წარმართვაში, ხოლო 14%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. ბოლოს, 11% ამბობს, რომ ყველაზე მეტად მოსახლეობას ენდობა სამშვიდობო პოლიტიკის სწორად წარმართვაში. განსხვავებები ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვითაც დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ მთავრობასა და სამინისტროებს ყველაზე ნაკლებად 18-34 წლის ახალგაზრდები ენდობიან (27%, 36-37%-თან შედარებით). ასევე, დედაქალაქში მთავრობის მიმართ ნდობა ბევრად უფრო დაბალია (23%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (35%) და სოფელში (42%).

განსხვავებები დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორისაც დაფიქსირდა. დევნილ მოსახლეობასთან შედარებით, არადევნილი მოსახლეობა უფრო ენდობა ხელისუფლებასა და სამინისტროებს (34%, 27%-თან შედარებით), და საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისიებს (19%, 12%-თან შედარებით), მაშინ, როდესაც დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ამბობს, რომ არავის ენდობა (22%, 16%-თან შედარებით), ან კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (22%, 14%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 57).

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურებიდან წამყვანი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, 23% შერიგებისა და სამოქალაქო თანაწილობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დასახელეს; 14%-საგარეო საქმეთა სამინისტროს, 7% პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ დროებით კომისიასა (7%) და დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (7%) ასახელებს. ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურა ცალ-ცალკე 3%-ზე მეტმა არ დაასახელა. თუმცა, 24% ამბობს, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ერთად უნდა იყოს ჩართული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. აღსანიშნავია, ასევე, რომ 14%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა ან უარი განაცხადა.

წინა კითხვის მსგავსად, აქაც დაფიქსირდა განსხვავებები ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ყველაზე ხშირად 35-54 წლის ადამიანები ასახელებენ (27%). მეორე მხრივ, სხვა ქალაქებსა (12%) და სოფლის ტიპის დასახლებასთან (12%) შედარებით, დედაქალაქში ყველაზე ხშირად (18%) საგარეო საქმეთა სამინისტროს ასახელებენ. გარკვეული განსხვავებები დაფიქსირდა დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის. მაგალითად, არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ასახელებს საგარეო საქმეთა სამინისტროს (15%, 9%-თან შედარებით) და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს (23%, 19%-თან შედარებით), მაშინ, როცა დევნილების უფრო დიდი წილი ასახელებს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას (11%, 7%-თან შედარებით) და ასევე ირჩევს პასუხის ვარიანტს „ყველა ერთად“ (32%, 23%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 58).

იმის გასაზომად, თუ რამდენად მისაღები ან მიუღებელია მოსახლეობისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე იღებდნენ სხვადასხვა სარგებელს, რესპონდენტებს შევაფასებინეთ რამდენიმე დებულება. საერთო ჯამში, მოსახლეობის 3/4-ისთვის „სრულიად მისაღებია“ (47%) ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ (29%) რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები იღებდნენ უფასო სამედიცინო მომსახურებას საქართველოში“ (დანართი 1, ცხრილი 59). ეს დებულება დედაქალაქსა (69%) და სხვა ქალაქებთან შედარებით (73%), უფრო მისაღები სოფლის მოსახლეობისთვის აღმოჩნდა (84%)<sup>11</sup>. ასევე, თითქმის 80%-ისთვის „სრულიად მისაღებია“ (52%) ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ (27%) რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებს ჰქონდეთ ჩვენს უნივერსიტეტებში სტიპენდიების მოპოვების შესაძლებლობა“ (დანართი 1, ცხრილი 60). ეს დებულებაც, წინა დებულების მსგავსად, დედაქალაქსა (72%) და სხვა ქალაქებთან შედარებით (76%), უფრო მისაღები სოფლის მოსახლეობისთვის აღმოჩნდა (88%)<sup>12</sup>.

გარდა ამისა, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, აფხაზეთს/სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონს შორის პირდაპირი სატრანსპორტო დერეფნის გახსნა „სრულიად მისაღებია“ 52%-ისთვის და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ 25%-ისთვის. აქაც, დედაქალაქსა (65%) და სხვა ქალაქებთან შედარებით (77%), უფრო მაღალი მიმღებლობა სოფლის მოსახლეობაში ფიქსირდება (86%)<sup>13</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომამ სამი დებულების შემთხვევაში დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 61).

<sup>11</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>12</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>13</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.




რაც შეეხება იმას, რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის შესაძლებელი იყოს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება/მოგზაურობა (იმისდა მიუხედავად, საქართველოს მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან შესაძლებელი იქნება თუ არა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში თავისუფალი მიმოსვლა)“, ეს დებულება მოსახლეობის 60%-ზე მეტისთვის არის „სრულიად მისაღები“ (37%) ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ (27%). ეს მოსაზრება დევნილ მოსახლეობასთან შედარებით (60%), არადევნილი მოსახლეობისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა (65%) (დანართი 1, ცხრილი 62). განსხვავებები დაფიქსირდა ასაკობრივი ჯგუფების და დასახლების ტიპის მიხედვით მოსახლეობის დაყოფის დროსაც. დედაქალაქთან შედარებით (53%), უფრო მაღალი მიმღებლობა სხვა ქალაქებსა (67%) და სოფლის მოსახლეობაში დაფიქსირდა (73%)<sup>14</sup>. ამასთან, 18-34 წლის ახალგაზრდებისთვის ეს დებულება უფრო მიუღებელია (29%), ვიდრე სხვა ასაკის წარმომადგენლებისთვის (21-24%).

წინა კითხვის მსგავსად, მოსახლეობის 61%-ისთვის „სრულიად მისაღები“ (34%) ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ (27%) მოსაზრება, რომ „საქართველოში ნებადართული იყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში წარმოებული პროდუქტის გაყიდვა (იმისდა მიუხედავად, საქართველოში წარმოებული პროდუქტის გაყიდვა თუ არა იქ). ამ შემთხვევაშიც, არადევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილისთვის (62%-ისთვის) არის ეს მოსაზრება მისაღები, ვიდრე დევნილი მოსახლეობისთვის (49%) (დანართი 1, ცხრილი 63). ასევე, დედაქალაქთან შედარებით (52%), თბილისის გარეთ მცხოვრები მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილისთვისაა მისაღები ეს დებულება (62-67%), ისევე, როგორც 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით (57%), უფროსი თაობებისთვის (62-63%).

უფროს თაობებსა და თბილისის გარეთ მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით ახალგაზრდები, ისევე, როგორც თბილისის მცხოვრებები, უფრო მეტად სკეპტიკურად არიან განწყობილნი კიდევ ერთი დებულების მიმართ, რომელიც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების სოციალურ და ჰუმანიტარულ დახმარებას ეხება. თუმცა, საერთო ჯამში, ამ დებულების მიმართ მაინც დადებითი განწყობა ფიქსირდება: მოსახლეობის 35%-ისთვის „სრულიად მისაღებია“ და 30%-ისთვის „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“, რომ იქ მცხოვრები ადამიანები იღებდნენ სოციალურ და ჰუმანიტარულ დახმარებას საქართველოს მთავრობისგან (ჯამში 65%). აღსანიშნავია, რომ დევნილი მოსახლეობის მხოლოდ 57%-ისთვის არის ეს მისაღები, არადევნილი მოსახლეობის 65%-თან შედარებით (დანართი 1, ცხრილი 64) (დიაგრამა 9).

<sup>14</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

დიაგრამა 9.



ფოკუს-ჯგუფების დროს, დევნილმა რესპონდენტებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად მისაღებია მათთვის ის ბენეფიტები, რომლებსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას სთავაზობს. მათი დიდი ნაწილი თანახმაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას დაეხმარონ, თუმცა, ზოგი მათგანი, უმადურობასა და დაუფასებლობაზეც საუბრობს:

*„სწორი მიმართვაა. ავადმყოფია და უნდა დავეხმაროთ... მაგრამ, უბრალოდ ისე ვამბობ, თვითონ თავიანთ გულებში ჩაიხედონ. თორე ისე კი ავადმყოფ ადამიანს, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს, უნდა ამოვუდგეთ გვერდში და დავეხმაროთ. მერე რა, რომ ჩვენი მტერია, სიტყვაზე. ჩემი აზრი ეგრეა“ (ქალი, 53, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი).*


კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ადმინისტრაციებთან დიალოგზე. კითხვაზე, უნდა აწარმოებდეს თუ არა საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ დიალოგს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოსახლეობის 84%-მა დადებითი პასუხი გასცა. ამ მხრივ დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის განსხვავებები არ ფიქსირდება (დანართი 1, ცხრილი 65). თუმცა, არსებობს განსხვავებები სხვა დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით. მაგალითად, 18-34 წლის ადამიანებთან შედარებით (79%), უფროსი თაობების შედარებით დიდი წილი (85-87%) იძლევა დადებით პასუხს. ასევე, დედაქალაქსა (78%) და სხვა ქალაქებთან (82%)

შედარებით, სოფლის მომსახლეობის უფრო დიდმა პროცენტმა (90%) უპასუხა კითხვაზე დადებითად.

რესპონდენტებმა (ვინც თქვა, რომ უნდა აწარმოებდეს) ჩამოთვლილი პასუხის ვარიანტებიდან აარჩიეს საკითხები, რომელიც/რომლებიც, მათი აზრით, პრიორიტეტული უნდა იყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგის დროს. ყველაზე ხშირად შემდეგი პასუხის ვარიანტები დასახელდა: აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის თავისუფალი გადაადგილება (46%), დევნილთა დაბრუნება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე (32%) და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები (28%). ეს ბოლო საკითხი არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (28%), დევნილი მოსახლეობის უფრო დაბალმა პროცენტმა (16%) დაასახელა.

ამ სამი საკითხის გარდა, 17%-მა ასევე დაასახელა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განათლება, ხოლო 10-10%-მა – ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ჯანდაცვა და დევნილთა ქონების კომპენსაციის საკითხები (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10.



ამ საკითხებზე რესპონდენტებმა ფოკუსჯგუფების დროსაც ისაუბრეს. შედეგებმა აჩვენა, რომ აფხაზეთიდან დევნილი რესპონდენტების დიდი ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ დე ფაქტო ადმინისტრაციებს შორის აფხაზეთში უნდა მიმდინარეობდეს დიალოგი, თუმცა, ამავე დროს ბევრი მათგანი გამოთქვამს სკეპტიციზმს იმის თაობაზე, თუ რამდენად შედეგიანი იქნება ეს დიალოგი. სკეპტიციზმი კი გამოწვეულია იმით, რომ დე-ფაქტო ხელისუფლებას არ მიიჩნევენ გადაწყვეტილების მიმღებ მხარედ და ამბობენ, რომ რეალურად რუსეთი წყვეტს ყველაფერს. რაც შეეხება იმას, თუ რა საკითხზე/საკითხებზე უნდა მიმდინარეობდეს ეს დიალოგი, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ასახელებენ დევნილების დაბრუნების საკითხს, თუმცა ზოგი თვლის, რომ მოლაპარაკებების ამ საკითხით დაწყება უშედეგო იქნება წინასწარი მომზადების გარეშე:

*„დიალოგის დაწყებამდე უნდა იყოს გარკვეული რაღაც პლატფორმა, გარკვეული რაღაცეები მომზადებული. თუნდაც თემატიკა ისეთი, რომელიც დიალოგის დასაწყებად ორივე მხარისთვის მისაღებია. ჩვენ ახლა, დაბრუნება ეს ჩვენი ოცნება არის, მაგრამ ამით თუ დავიწყებთ საუბარს, საუბარი ვერ შედგება. შემდეგ მეორე საკითხი ის არის, რომ დიალოგი შენ უნდა გქონდეს მხარესთან, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებია და აქ აფხაზეთი მხარე არ არის გადაწყვეტილების მიმღები. შესაბამისად, მათთან დიალოგი ახლა ამ ეტაპზე, როცა ისინი გადაწყვეტილების მიმღები არ არიან, მე არა მგონია, რომ ქართული მხარისთვის რელევანტური იყოს. იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ისევ რუსული პოლიტიკა გამოიყენებს იმაში, რომ აგერ მხარეები ერთმანეთთან საუბრობენ, თვითონ გადაწყვიტონ, მე რა შუაში ვარ. ამიტომ დიალოგი კარგია, მაგრამ ეს დიალოგი უნდა იყოს სიკეთის მომტანი და არა პირიქით, ხომ? ამას შესაბამისი მომზადება სჭირდება. ეს პოლიტიკა არის და ახლა მე ვერ ვერკვევი პოლიტიკაში იმდენად, რომ ზუსტად გითხრათ როგორ უნდა გაიმართოს ეს დიალოგი. თუმცა, დიალოგს ყოველთვის ვემხრობი“ (კაცი, 58, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).*

ნაწილობრივ მსგავსი აზრი დააფიქსირეს ცხინვალის რეგიონიდან დევნილებმაც, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ცხინვალის დეფაქტო ადმინისტრაციასთან არანაირი დიალოგი არ უნდა ჰქონდეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ კონფლიქტის მთავარ მონაწილედ ისინი რუსეთს მიიჩნევენ:

*„რა თქმა უნდა არ უნდა მიმდინარეობდეს [დიალოგი]. ეგ ყველაფერი მოწყობილი იყო რუსეთისგან და თუ რაღაცა ის არის, რუსეთთან უნდა მოგვარდეს სიტუაცია. დე ფაქტო ცხინვალის ხელისუფლებას არანაირი საშუალება არ აქვს იმის, რომ მაგალითად მოაგვაროს, თუნდაც საქართველოსთან რაიმე დალაგოს. ეს ყველაფერი ხდება რუსეთიდან და რუსეთის მხრიდან“ (კაცი, 44, 2008 წლის დევნილი, შიდა ქართლი).*

თუ ისევ რაოდენობრივ შედეგებს შევხედავთ, ვნახავთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (69%) თანხმდება, რომ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და ოსების, მეორე მხრივ კი, საქართველოს შორის დიალოგის დაწყებას, პირველ რიგში, რუსეთის პოლიტიკა უშლის ხელს. მხოლოდ 9%-მა დაასახელა „აფხაზეთი და სამხრეთ ოსური მხარეების ნების არარსებობა“, ხოლო 6%-მა „ქართული მხარის თავშეკავებულობა“ როგორც ხელშემშლელი მიზეზები (დანართი 1, ცხრილი 67). რუსეთის პოლიტიკას, ქალებთან შედარებით (67%), მამაკაცები უფრო ასახელებენ (72%).

ასევე, ამ პასუხის ვარიანტს, სხვა ქალაქებსა (63%) და სოფლის ტიპის დასახლებასთან (68%) შედარებით, თბილისში უფრო ასახელებენ (76%).

რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, თუ როგორ ხედავენ ქალებისა და დევნილების როლს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში. მოსახლეობის უმრავლესობა (73%) „სრულიად ეთანხმება“ (20%) ან „ეთანხმება“ (53%) მოსაზრებას, რომ „სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართულობა დადებითად/უკეთესობისკენ შეცვლის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს“ (დანართი 1, ცხრილი 68). აღსანიშნავია, რომ, კაცებთან შედარებით (69%), ამ მოსაზრებას ქალები უფრო ეთანხმებიან (76%)<sup>15</sup>. ასევე, ამ დებულებას 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით (69%), უფროსი თაობის წარმომადგენლების შედარებით დიდი წილი (73-76%), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებასთან შედარებით (70%), უფრო დიდი წილი თბილისსა (75%) და სხვა ქალაქებში (74%) ეთანხმება.

წინა კითხვასთან შედარებით კიდევ უფრო დიდი პროცენტი (80%) „სრულიად ეთანხმება“ (24%) ან „ეთანხმება“ (56%) მოსაზრებას, რომ „სამშვიდობო პროცესებში დევნილების ჩართულობა დადებითად/უკეთესობისკენ შეცვლის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს“. კაცებთან შედარებით (77%), ამ მოსაზრებას ქალები უფრო ეთანხმებიან (82%)<sup>16</sup>. ასევე, დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ეთანხმება, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (85%, 80%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 69).

ფოკუსჯგუფის აფხაზეთიდან დევნილმა მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს არაფორმალური ურთიერთობების მნიშვნელოვნებაზე და აღნიშნეს, რომ დევნილ მოსახლეობას ჯერ კიდევ ჰყავს მეგობრები და ნაცნობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რომ ეს კონტაქტები შეიძლება დაეხმაროს არაოფიციალურ დონეზე ურთიერთობების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, ასევე, რომ აფხაზეთიდან დევნილები საუბრობენ თავიანთ განსაკუთრებულ როლზე და იმაზე, რომ არცერთი ხელისუფლება არ დაინტერესებულა მათ ჩართვაზე კონფლიქტების მოგვარებაში:

*„მე კიდევ ერთს ვიტყვოდი, რომ არცერთი ხელისუფლების პერიოდში არ მახსოვს თუ რაღაცა საუბრები იყო აფხაზეთთან დაკავშირებით, ნუ, ახლა საერთოდ ჩამკვდარია ეს საუბრები, მაგრამ რომ ყოფილიყვნენ აქტიურად ჩართული თვითონ დევნილები ამ საკითხებზე. იმიტომ, რომ ჩვენ, დევნილებს, აგერ ქალბატონები უქიმები სხედან, პროფესორებიც გყავს, აკადემიკოსებიც გყავს აფხაზეთიდან, ძალიან ჭკვიანი ხალხი გყავს და ამათთან ერთად, თქვენ ახლა კვლევას რასაც აკეთებთ და გაინტერესებთ ჩვენი აზრი, მასე არავინ არ ინტერესდება – აი, იმ მოაზროვნე თავების აზრებით, რომ რაღაც შემუშავდეს. იგივე თქვენი კითხვებიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ურთიერთობები, ურთიერთობების დათბობა, რაღაც გზები გამოინახოს პოზიტიური სვლებისკენ. აი, ამ ადამიანების აზრი არავის არ აინტერესებს“ (კაცი, 58, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).*

ამის საწინააღმდეგოდ, ფოკუსჯგუფების დროს იყვნენ ისეთი რესპონდენტებიც, ვინც თვლის, რომ არაფორმალური დიალოგები ინდივიდუალურ დონეზე დიდ შედეგს ვერ მოიტანს.

<sup>15</sup> „სრულიად ეთანხმები“ და „ეთანხმები“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>16</sup> „სრულიად ეთანხმები“ და „ეთანხმები“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს, ისინი თვლიან, რომ მათ ვერანაირი როლი ვერ ექნებათ კონფლიქტის მოგვარებაში, რადგან არ აქვთ ურთიერთობა იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ცხინვალში აღაარავინ დარჩა ისეთი, ვისთანაც ურთიერთობა ან კონტაქტი შესაძლებელია. ამ ეტაპზე მათ წინაპრებისა და ახლობლების საფლავის მოსანახულებლად ჩასვლის შესაძლებლობაც არ აქვთ.

## 7. გარე ფაქტორების გავლენა და მოლოდინები

რაც შეეხება გარე ფაქტორების გავლენას, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობას (61%) სჯერა, რომ საქართველოს **ევროკავშირში ინტეგრაცია** ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე დადებით გავლენას მოახდენს. 10% ამობობს, რომ ეს გავლენა უარყოფითი იქნება, 13% არანაირ გავლენას არ ვარაუდობს, ხოლო 17%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (დანართი 1, ცხრილი 70). დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის ამ მხრივ განსხვავებები არ არის, თუმცა, განსხვავებები იკვეთება სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების ქრილში. მაგალითად, ევროინტეგრაციის დადებით გავლენაზე, 35-54 წლის მოსახლეობასთან შედარებით (56%), უფრო 18-34 წლის ახალგაზრდები საუბრობენ (65%). ასევე, სოფლის ტიპის დასახლებასა (58%) და სხვა ქალაქებთან (60%) შედარებით, დედაქალაქში უფრო ხშირად საუბრობენ ევროინტეგრაციის დადებით გავლენაზე (65%).

დაახლოებით მსგავსი შედეგები მივიღეთ მას შემდეგ, რაც რესპონდენტებს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის გავლენაზე ვკითხეთ. მოსახლეობის 56% ფიქრობს, რომ ნატოში ინტეგრაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე დადებით გავლენას მოახდენს. უარყოფით გავლენაზე საუბრობს 12%, ხოლო ასევე 12% არანაირ გავლენას არ ელის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოსახლეობის თითქმის 1/5-ს გაუჭირდა. წინა კითხვის მსგავსად, დადებით გავლენაზე, 35-54 წლის მოსახლეობასთან შედარებით (52%), უფრო 18-34 წლის ახალგაზრდები საუბრობენ (61%). ასევე, სოფლის ტიპის დასახლებასა (52%) და სხვა ქალაქებთან (56%) შედარებით, დედაქალაქში უფრო ხშირად საუბრობენ დადებით გავლენაზე (62%).

აღსანიშნავია, რომ არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (56%), დევნილი მოსახლეობის გაცილებით დიდი წილი (69%) საუბრობს ნატოში ინტეგრაციის დადებით გავლენაზე (დანართი 1, ცხრილი 71).

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ახსნეს, თუ რატომ ექნება ევროკავშირში ინტეგრაციას დადებითი გავლენა. მათი თქმით, ამ შემთხვევაში საქართველო ეკონომიკურად უფრო მიმზიდველი გახდება, მოიზიდავს უფრო მეტ ტურისტს და მიმზიდველი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვისაც.

*„ნახეთ, ზოგადად ქვეყანა რომ იქნება განვითარებული და ქვეყანა იქნება წარმატებული, ის აფხაზები ნახავენ, რომ ჩვენ არ ვართ ასეთი ცუდი ხალხი, რადგან ევროპა ჩვენთან არის და ჩვენ ევროპასთან და თუ მოუნდებათ მათ ევროპასთან სიახლოვე, მიხვდებიან, რომ რაღაც უნდა ისწავლონ საქართველოდან“ (ქალი, 57, დევნილი აფხაზეთიდან, სამეგრელო).*

ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის ნაწილი აღნიშნავს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციამ შესაძლოა აფხაზეთის დაინტერესება უფრო გამოიწვიოს, ვიდრე ოსური მხარის, რადგან პირველნი უფრო ინფორმირებულნი არიან:

*„ევროკავშირში გაწევრიანებით ვფიქრობ, რომ აფხაზური მოსახლეობა უფრო დაინტერესებულია, ვიდრე ეს ცხინვალის მხარე. ამათ ინფორმაცია იმდენი არ აქვთ. ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენთვისაც კარგი იქნება და ეგენიც შეიძლება გადმოვიდნენ. პროგრესულად მოაზროვნეებიც, ეგენიც დაიღალნენ ამ კონფლიქტით და ომით და ვფიქრობ, ეს ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩააგდეს იაკონიაში, მაგრამ დღეს ეგენი მეგობრობენ, მეზობლობენ და ურთიერთობა კარგი აქვთ. რაღაც უნდა მოხდეს, ძვრები უნდა მოხდეს. სხვანაირად არ გამოვა. რაც დრო გადის გაუცხოება ხდება ჩვენს ერებს შორის და ეს ძალიან ცუდია. ნაბიჯებია გადასადგმელი, რომ რაღაც ურთიერთობა ადღეს“ (კაცი, 36, 2008 წლის ომის დევნილი, შიდა ქართლი).*


მეორე მხრივ, ზოგიერთმა რესპონდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ევროპასთან დაახლოება ქართველებს დააშორებს ოკუპირებული ტერიტორიებისგან. მათი აზრით, დასავლეთთან ინტეგრაცია დიდს ვერაფერს იზამს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაახლოების კუთხით. ეს რესპონდენტები გამოსავალს ისევ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებასა და საერთო ენის გამონახვაში ხედავენ. როგორც აფხაზურიდან, ისე ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა ნაწილი ფიქრობს, რომ მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკება და საუბარი დააბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

ეს უკანასკნელი მიგნებები რაოდენობრივ მონაცემებშიც ჩანს: კითხვაზე, თუ რა გავლენას მოახდენს საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური დაახლოება, ერთი მხრივ, ქართულ-აფხაზურ და, მეორე მხრივ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, მოსახლეობის თითქმის 1/3 საუბრობს დადებით გავლენაზე, 1/4 – უარყოფით გავლენაზე, ხოლო 1/5 ამბობს, რომ არანაირი გავლენა არ იქნება. ამასთან, ამ შეკითხვებზე მოსახლეობის თითქმის 1/4-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა (დანართი 1, ცხრილები 72-73). განსხვავებები დაფიქსირდა დასახლების ტიპის ჭრილში: თუკი თბილისში მოსახლეობის დაახლოებით 1/3 საუბრობს რუსეთთან პოლიტიკური დაახლოების უარყოფით გავლენაზე ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია სოფლის ტიპის დასახლებებში (19%).

და ბოლოს, რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, თუ რა გავლენას მოახდენს, მათი აზრით, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები ქართულ-აფხაზურ/ოსურ ურთიერთობებზე იმ შემთხვევაში, თუ ომი 1. რუსეთის სასარგებლოდ დამთავრდება; და 2. რუსეთის წარუმატებლობით დამთავრდება. პირველ შემთხვევაში, მოსახლეობის 54%-მა თქვა, რომ ეს გავლენა უარყოფითი იქნება. ამასთან, 18-34 წლის ახალგაზრდებსა (61%) და თბილისის მოსახლეობაში (63%) ყველაზე მაღალია იმ ადამიანების წილი, ვინც უარყოფით გავლენაზე საუბრობს.

მეორე კითხვის შემთხვევაში, რომელშიც ომში რუსეთის წარუმატებლობაზეა საუბარი, მოსახლეობის უმეტესობამ – 42%-მა აღნიშნა, რომ ომის ასეთი შედეგი ქართულ-აფხაზურ/ოსურ ურთიერთობებზე დადებით გავლენას მოახდენს. აღსანიშნავია, რომ დადებით გავლენაზე 35-54 წლის მოსახლეობასთან შედარებით (38%), უფრო 18-34 წლის ახალგაზრდები საუბრობენ (46%). ასევე, სოფლის ტიპის დასახლებასა (40%) და სხვა ქალაქებთან (37%) შედარებით, დედაქალაქში უფრო ხშირია დადებით გავლენაზე საუბარი (48%). ამასთან, დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი (57%, 41%-თან შედარებით) საუბრობს დადებით გავლენაზე (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11.



## 8. წარმოდგენები კონფლიქტის მოგვარებაზე/ტრანსფორმაციაზე

კვლევისთვის საინტერესო იყო მოსახლეობის წარმოდგენების შესწავლა კონფლიქტის მოგვარებაზე ან მის ტრანსფორმაციაზე. გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს შევთავაზეთ რამდენიმე მოსაზრება და ვკითხეთ, რამდენად მისაღები ან მიუღებელი იყო თითოეული მათგანი მათთვის.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობისთვის (75%) „სრულიად მისაღებია“ (56%) ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ (19%) მოსაზრება, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი იყოს საქართველოს ნაწილი, ავტონომიის გარეშე. ამ მოსაზრებაზე არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის, თუმცა, მოსაზრებებს შორის განსხვავება საკმაოდ მცირეა. თუკი, დევნილი მოსახლეობის 71%-თვის არის მისაღები აღნიშნული მოსაზრება, არადევნილი მოსახლეობიდან 75% აცხადებს, რომ მათთვის ეს მოსაზრება მისაღებია. აღსანიშნავია, რომ დევნილი მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს უჭირს ამ მოსაზრებაზე პასუხის დაფიქსირება, ვიდრე არადევნილ მოსახლეობას (12%; 5%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 81). მცირე განსხვავებები არსებობს დასახლების ტიპის მიხედვითაც: დედაქალაქისა (80%) და სოფლის



ტიპის დასახლებასთან (76%) შედარებით, სხვა ქალაქებში, ეს მოსაზრება ნაკლებად მისაღებია (68%)<sup>17</sup>.

მოსაზრება, რომ „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი იყოს საქართველოს ნაწილი და ჰქონდეს მნიშვნელოვანი ავტონომია“ მოსახლეობის დაახლოებით მესამედისთვის (34%) „სრულიად მიუღებელი“ (20%) ან „უფრო მიუღებელი, ვიდრე მისაღებია“ (14%). აღნიშნული მოსაზრება „სრულიად მისაღები“ ან „უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელია“ მოსახლეობის 47%-თვის (23%; 24% შესაბამისი თანმიმდევრობით). ამ შეკითხვაზე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 82). თუმცა, არსებობს განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით: ეს მოსაზრება უფრო მისაღები აღმოჩნდა სოფლის ტიპის დასახლებაში (53%), ვიდრე დედაქალაქსა (44%) და სხვა ქალაქებში (41%)<sup>18</sup>.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ „საქართველო გარდაიქმნას ფედერაციულ სახელმწიფოდ, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი გაწევრიანდებიან, როგორც მნიშვნელოვანი უფლებების მქონე სუბიექტები, ექნებათ დიდი თავისუფლება საკუთარი შიდა მართვა-გამგეობის საკითხებში, როგორც, მაგალითად, ცალკეულ შტატებს აშშ-ში“, მოსახლეობის თითქმის ნახევრისთვის (49%) ეს მოსაზრება „სრულიად მიუღებელია“ (34%) ან „უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები“ (15%). მოსაზრება „სრულიად მისაღები“ ან „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ მოსახლეობის 16%-ისთვისაა (4% და 12% შესაბამისი თანმიმდევრობით). მოსახლეობის იმდენივე წილი (16%) აცხადებს, რომ ეს მოსაზრება მათთვის „არც მისაღები და არც მიუღებელია“ (დანართი 1, ცხრილი 83). ამ შემთხვევაშიც განსხვავებები არსებობს დასახლების ტიპის მიხედვით: ეს მოსაზრება უფრო მიუღებელი აღმოჩნდა თბილისში (57%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (42%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (47%)<sup>19</sup>.

შემდეგი მოსაზრება, რომელიც რესპონდენტებს გამოკითხვის ფარგლებში წარუდგინეს, ეხებოდა კონფედერაციის შექმნას ერთი მხრივ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და მეორე მხრივ საქართველოს შემადგენლობით. კონფედერაციაში იგულისხმება ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტის კავშირი, რომლებიც საერთო საგარეო პოლიტიკას ატარებენ, მაგრამ შიდა მართვა-გამგეობას დამოუკიდებლად აწარმოებენ. ეს მოსაზრება მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის (52%) „სრულიად მიუღებელი“ (35%) ან „უფრო მიუღებელი, ვიდრე მისაღებია“ (16%). მოსახლეობის 15%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ამ მოსაზრების მიმართ და აცხადებს, რომ მისთვის ეს მოსაზრება „არც მისაღები და არც მიუღებელია“, ხოლო მეხუთედზე მეტს (21%) გაუჭირდა მოსაზრებაზე პასუხის დაფიქსირება (დანართი 1, ცხრილი 84). წინა მოსაზრებების მსგავსად, აქაც არსებობს განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით: ეს მოსაზრება უფრო მიუღებელი აღმოჩნდა თბილისში (64%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (41%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (50%)<sup>20</sup>.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის (85%) „სრულიად მიუღებელი“ (74%) ან „უფრო მიუღებელი, ვიდრე მისაღები“ (11%) აღმოჩნდა. აღნიშნული მოსაზრება მოსახლეობის მხოლოდ 6%-ისთვისაა „სრულიად მისაღები“ (2%) ან

<sup>17</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>18</sup> „სრულიად მისაღებია“ და „უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>19</sup> „სრულიად მიუღებელია“ და „უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

<sup>20</sup> „სრულიად მიუღებელია“ და „უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

„უფრო მისაღები, ვიდრე მიუღებელი“ (4%). ამ შეკითხვაზე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 85). თუმცა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აღმოჩნდა დასახლების ტიპის მიხედვით: ეს მოსაზრება უფრო მიუღებელია თბილისში (82%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (64%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (75%)<sup>21</sup>.

და ბოლოს, მოსაზრება, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი იყოს რუსეთის ნაწილი, მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი უმრავლესობისთვის (91%) „სრულიად მიუღებელი“ (85%) ან „უფრო მიუღებელი, ვიდრე მისაღებია“ (6%). ამ მოსაზრებაზეც, წინა მოსაზრების მსგავსად, დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა (დანართი 1, ცხრილი 86). თუმცა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აღმოჩნდა დასახლების ტიპის მიხედვით: ეს მოსაზრება უფრო მიუღებელია თბილისში (90%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (80%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (85%)<sup>22</sup>.

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობაზეც ვკითხეთ. შედეგების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელია (59%; 58% შესაბამისი თანმიმდევრობით). აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებებს, ახალგაზრდებთან შედარებით, 55 წლის და უფროსი თაობის ადამიანები ნაკლებად იზიარებენ (53-54%, 60-62%-თან შედარებით); სოფელთან შედარებით (63-64%) კი ნაკლებად იზიარებენ დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში (53-56%).

საგულისხმოა, რომ დევნილი მოსახლეობა, არადევნილებთან შედარებით, ნაკლებად მიიჩნევს, რომ ამ ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელია. თუკი დევნილი მოსახლეობის 51% ფიქრობს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაუმჯობესება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე შესაძლებელია, არადევნილებიდან შედარებით მეტი – 59% მიიჩნევს ასე. ამის მსგავსად, თუკი დევნილი მოსახლეობის 51% მიიჩნევს, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობის გაუმჯობესება შესაძლებელია, არადევნილი მოსახლეობის 58% ფიქრობს ასე (დანართი 1, ცხრილები 76-77).

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, ფოკუსგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენიათ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესება. როგორც წინა თავებში ვახსენეთ, მონაწილეთა აზრით, ეს შესაძლებელია მოსახლეობას შორის კონტაქტით და ურთიერთობებით. დევნილებმა თქვეს, რომ უნდა ტარდებოდეს შეხვედრები და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოიყვანონ მოსახლეობა ამ შეხვედრებზე დასასწრებად. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ახსენა წლების წინ ჩატარებული ფორუმი, რომელსაც აფხეთიდან და საქართველოდან ესწრებოდნენ ექიმები და სადაც ბევრი კონტაქტი შედგა. ასევე ახსენეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე არსებული ახალგაზრდული ფორუმები, რომლებიც მიზნად ისახავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოებას.

<sup>21</sup>პასუხის ვარიანტი „სრულიად მიუღებელია“.

<sup>22</sup>პასუხის ვარიანტი „სრულიად მიუღებელია“.

*„ჩვენი ახალგაზრდობა ორივე მხრიდან რაღაცნაირად უნდა დავახლოვოთ, შევხდნენ, რაღაც დიალოგი გაიმართოს, რომ გაუცხოება არ მოხდეს, თორე რაც უფრო გაუცხოვდებით ერთმანეთთან, უფრო გაგვირთულებს ტერიტორიების ადღენა და საჭიროა რაღაცა უფრო მეტი ჩართულობა, ოსების გადმოსვლა ახალგაზრდებისა. ჩვენ მხარეს თუ გადმოვიდნენ, ჩვენებისაც შესვლა, რაღაცა. ნაბიჯ-ნაბიჯ რაღაცა უნდა გავაკეთოთ. სხვანაირად არ გამოვა არაფერი“ (კაცი, 57, 2008 წლის დეკემბერი, შიდა ქართლი).*

ფოკუსგუფის მონაწილეების ნაწილი, რომელიც აფხაზეთიდანაა დევნილი, საუბრობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უთანასწორობაზე და ამბობს, რომ სანამ უთანასწორობის პრობლემა არ გადაიჭრება ამ რეგიონებში, მანამდე ურთიერთობების გაუმჯობესება ძნელად წარმოსადგენია:

*„იქ მაცხოვრებელს ეს იქნება აფხაზი, ქართველი, მეგრელი, ნუ არ ვიცი, თანასწორუფლებიანები სანამ არ გავხდებით იქ, ეს არაფერი არ გამოსწორდება, იქ ისეა დაყოფილი ხალხი, როგორც თეთრი, შავი, მწვანე, ყვითელი, ეს ხომ ვიცით ფერები ცალ-ცალკე, ასეა იქ დაყოფილი ხალხი“ (ქალი, 62, დეკემბერი აფხაზეთიდან, იმერეთი).*

სხვები ასევე ეკონომიკურ თანამშრომლობას და ამბობენ, რომ ურთიერთობების დათბობა წარმოუდგენიათ ეკონომიკური კავშირების წამოწყებით, რაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. თუმცა, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა იზღუდება, ეს შეიძლება პრობლემური იყოს:

*„იყო ეკონომიკური ურთიერთობები დაუშვავთ იგივე აფხაზეთის ტერიტორიაზე, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ საშუალება ერთობლივ პროექტებზე გვემუშავა და ა.შ. ეს აიკრძალა. აიკრძალა აფხაზეთის ტერიტორიაზე წლების წინ. ეხლა აქაც იკრძალება. ჩვენი ხელისუფლება, იცით ახლა ეს ახალი კანონი დღეისთვის შემორჩენილ რაღაც ურთიერთობებს, რასაც რუსულ კანონს ვეძახით, აი ამ ურთიერთობების შენარჩუნებასაც უკვე საფრთხეს უქმნის“ (კაცი, 58, დეკემბერი აფხაზეთიდან, სამეგრელო).*

რესპონდენტების ნაწილმა ასევე აღნიშნა ის, რომ პირველ რიგში საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განვითარდეს დემოკრატიული ინსტიტუტები და ქვეყანა უნდა მოძლიერდეს ეკონომიკურად, რამაც შეიძლება აფხაზების და ოსების ინტერესი და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გამოიწვიოს. ასევე, აუცილებელია ხელისუფლებამ უფრო აქტიურად იმუშაოს საერთაშორისო დონეზე, რომ ქვეყანამ არ დაკარგოს თავისი „ნიშა და მიმზიდველობა“.

ამის საპირისპიროდ, ფოკუსგუფის მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ რუსეთთან საერთო ენის გამონახვის გარეშე ურთიერთობების დათბობა და გაუმჯობესება შეუძლებელია, რადგან სწორედ რუსეთის ხელშია ამ ტერიტორიების ბედი: *„მთავარია რუსთან მოიძებნოს ენა. სხვა ვარიანტი არ არსებობს...ჩვენ ვერც რუსეთს მოგვაცილებენ და ვერც რუსეთი მოგვაცილებს ჩვენ. გვინდა-არ გვინდა მუშობელია და ყველა ვარიანტში რუსის გარეშე ეს საკითხი არ წყდება“ (კაცი, 59, დეკემბერი აფხაზეთიდან, იმერეთი).*


ამ მოსაზრებას სკეპტიკურად უყურებს დევნილი რესპონდენტების მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ რუსეთთან მოლაპარაკება ქვეყნისთვის სასარგებლო და შედეგიანი არასდროს არ ყოფილა. ეს რესპონდენტები პირდაპირ აფხაზებსა და ოსებთან დიალოგს უფრო ემხრობიან.

ეს მიგნებები ასევე უკავშირდება გამოკითხვის ფარგლებში დასმულ საკითხს იმის შესახებ, თუ რა გზით წარმოუდგენია მოსახლეობას ოკუპირებულ რეგიონებზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა. შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, ეს აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკების გზით, თუმცა, შუამავლების გარეშე უნდა მოხდეს (35%). მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი (21%) კი მიიჩნევს, რომ კონტროლის აღდგენა მოლაპარაკების გზით, თუმცა დასავლეთის დახმარებით უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაახლოებით მეათედს ოკუპირებულ რეგიონებზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა, რუსეთთან მოლაპარაკებით, შუამავლის გარეშე წარმოუდგენია (12%). მოსახლეობის თითქმის იმავე წილს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა (ან უარს აცხადებს პასუხის გაცემაზე) (12%) და მოსახლეობის მცირე ნაწილი აცხადებს, რომ ვერ წარმოუდგენია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის აღდგენა ოკუპირებულ რეგიონებზე (5%).

მცირე განსხვავებები გამოვლინდა ასაკობრივ ჭრილში: მაგალითად, აფხაზებთან/ოსებთან მოლაპარაკებას შუამავლის გარეშე, 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით (32%), უფროსი თაობები უფრო ემხრობიან (36-37%). ასევე, სხვა ქალაქებთან შედარებით (29%), ამ გზას თბილისსა (38%) და სოფელში (37%) უფრო ემხრობიან.

საგულისხმოა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით, განსხვავებული წარმოდგენები არსებობს დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორისაც. დევნილი მოსახლეობა არადევნილთან შედარებით ნაკლებად მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ რეგიონებზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა მოლაპარაკების გზით, შუამავლების გარეშე უნდა მოხდეს. თუკი დევნილი მოსახლეობის მეოთხედს წარმოუდგენია, რომ კონტროლის აღდგენა, მოლაპარაკების გზით, შუამავლების გარეშე უნდა მოხდეს, არადევნილი მოსახლეობის შედარებით დიდი წილი ფიქრობს იმავეს (36%). ამის საპირისპიროდ, დევნილი მოსახლეობა, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მეტად მიიჩნევს, რომ კონტროლის აღდგენა აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკების გზით, თუმცა, დასავლეთის დახმარებით უნდა მოხდეს (26%; 21%-თან შედარებით). რაც შეეხება კონტროლის აღდგენას რუსეთთან მოლაპარაკებით, შუამავლის გარეშე, ამ შემთხვევაშიც დევნილი მოსახლეობის უფრო დიდი წილი ასახელებს ამ გზას, ვიდრე არადევნილი მოსახლეობა (19%; 11%-თან შედარებით) (დანართი 1, ცხრილი 78) (დიაგრამა 12).

დიაგრამა 12.



აღსანიშნავია, რომ ფოკუსჯგუფებში ცხინვალის რეგიონიდან დევნილებმა აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებების დროს გადამწყვეტ როლს სწორედ რუსეთი ასრულებს და რომ მის გარეშე შეთანხმება ვერ მოხდება.

*„ყოველ შემთხვევაში მცდელობა მაინც უნდა იყოს [რუსეთთან საუბრის]. იმიტომ, რომ ოკუპანტი თვითონა და სხვა ქვეყნები ჩვენ ვერაფერს ვერ მოგვიგვარებენ თუ თვითონ მასთან არ არის კავშირი და საუბარი მოგვარებაზე. რაღაც საკითხების განხილვა აუცილებლად უნდა იყოს რუსეთთან. მისი გვერდის ავლით, მე მგონი, აზრი არ აქვს“ (ქალი, 53, 2008 წლის დევნილი, შიდა ქართლი).*

ზოგი რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ დასავლეთს ამდენი ხნის განმავლობაში რომ შეძლებოდა დახმარება, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა და მოაგვარებდა ამ საკითხს. და იმის გამო, რომ საქართველო ძალის გამოყენებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ვერ შეძლებს, რუსეთთან დიალოგს ერთადერთ რეალისტურ გამოსავლად მიიჩნევენ. ამასთან, ზოგი რესპონდენტი ოსებთან დიალოგსაც ახსენებს:

*„რა თქმა უნდა, ახლა ყველა დაშეთანხმება, რომ ძალით ჩვენ მაგ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ და დიალოგის გარეშე არა მგონია, რომ რამე გამოგვივიდეს. ვფიქრობ, დიალოგი აუცილებელია როგორც რუსეთთან, ისე ოსებთანაც შეიძლება“*

დიალოგი. სხვანაირად არ გამოგვივიდა. ჩვენ საიამაყესაც ცოტა უნდა გადავადიგოთ“ (კაცი, 57, 2008 წლის დეკემბერი, შიდა ქართლი).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩატარებული ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ ევროინტეგრაციისა და ნატოში გაწევრიანების საკითხები საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის<sup>23</sup>, როდესაც რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რა იყო უახლოეს მომავალში საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი – ევროინტეგრაცია (ან ნატოში გაწევრიანება) თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უმრავლესობამ ტერიტორიული მთლიანობა აირჩია. უფრო კონკრეტულად კი, მოსახლეობის 55% ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ევროინტეგრაციას. მეორე მხრივ, მოსახლეობის დაახლოებით 1/5 (21%) ევროინტეგრაციას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ხოლო ასევე 21% ამბობს, რომ ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია (დანართი 1, ცხრილი 79).

მნიშვნელოვანი განსხვავებებია ამ შეკითხვაზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, თუკი 18-დან 34 წლის ახალგაზრდების 32% ევროინტეგრაციას ასახელებს, 35-54, ისევე როგორც 55+ ასაკობრივი ჯგუფებში ეს პროცენტული მაჩვენებელი ბევრად დაბალია (14% და 18%). ასევე, დედაქალაქში 34% ასახელებს ევროინტეგრაციას, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სხვა ქალაქებსა (18%) და სოფელში (12%) ბევრად უფრო დაბალია.

მსგავსი შედეგები დაფიქსირდა ნატოში გაწევრიანებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის შედარებისას. მოსახლეობის 57% ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე ნატოში გაწევრიანებას, ხოლო 19% პირიქით – ნატოში გაწევრიანებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინ აყენებს. 20%-ისთვის კი ორივე საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანია (დანართი 1, ცხრილი 80). წინა კითხვის მსგავსად დაფიქსირდა განსხვავებები ასაკის და დასახლების ტიპის მიხედვით. თუკი 18-დან 34 წლის ახალგაზრდების 28% ნატოში გაწევრიანებას ასახელებს, 35-54, ისევე როგორც 55+ ასაკობრივი ჯგუფებში ეს პროცენტული მაჩვენებელი ბევრად დაბალია (13% და 17%). ასევე, დედაქალაქში 31% ნატოში გაწევრიანებას ასახელებს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სხვა ქალაქებსა (15%) და სოფელში (11%) ბევრად უფრო დაბალია.

## 9. დროის ფაქტორი კონფლიქტების მოგვარებაში

კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (51%) „სრულიად ეთანხმება“ (14%) ან „ეთანხმება“ (37%) მოსაზრებას, რომ „რაც დრო გადის, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის შერიგების პერსპექტივა მცირდება“. ამ მოსაზრებას მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (24%) არ ეთანხმება. ამასთან, მოსახლეობის თითქმის მეხუთედს (19%) ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს და აცხადებს, რომ აღნიშნულ მოსაზრებას არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება. განსხვავებები არსებობს ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. თუკი 18-34 წლის ახალგაზრდების 57% ეთანხმება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ეს პროცენტული წილი უფროს თაობებში შედარებით ნაკლებია (48-49%).

<sup>23</sup><https://caucasusbarometer.org/en/eu2023ge/codebook/>

საგულისხმოა, რომ ამ მოსაზრებაზე დევნილი და არადევნილი მოსახლეობის მოსაზრებებს შორისაც არსებობს განსხვავებები. დევნილ მოსახლეობასთან შედარებით, არადევნილი მოსახლეობის უფრო მეტი წილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რაც დრო გადის, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის შერიგების პერსპექტივა მცირდება. თუკი არადევნილი მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52%) ეთანხმება აღნიშულ მოსაზრებას, დევნილი მოსახლეობის შედარებით ნაკლები წილი (42%) ამბობს იმავეს (დანართი 1, ცხრილი 87).

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ „რაც დრო გადის, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას ეკარგება სურვილი, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში მუდმივად საცხოვრებლად“, მოსახლეობის აზრი თითქმის თანაბრად იყოფა. მესამედზე მეტი (38%) „სრულიად ეთანხმება“ (9%) ან „ეთანხმება“ (29%) ამ მოსაზრებას და დაახლოებით იმდენივე წილი (36%) „საერთოდ არ ეთანხმება“ (12%) ან „არ ეთანხმება“ (25%) მას. მოსახლეობის მეხუთედს (20%) ნეიტრალური პოზიცია აქვს და აცხადებს, რომ „არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება“ აღნიშნულ მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებაზეც დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის არსებობს განსხვავებები. არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილი მოსახლეობის ბევრად დიდი წილი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ რაც დრო გადის, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას ეკარგება სურვილი, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში მუდმივად საცხოვრებლად. თუკი არადევნილი მოსახლეობიდან დაახლოებით მესამედი (35%) არ ეთანხმება მოსაზრებას, დევნილი მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53%) არ ეთანხმება მას (დანართი 1, ცხრილი 88).

გამოკითხვის ფარგლებში მოსახლეობას ქართულ და აფხაზურ, და ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ოფიციალურ დონეზე დიალოგის აუცილებლობაზეც ვკითხეთ. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის ოფიციალურ დონეზე დიალოგი აუცილებელია და ის სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის 83% „სრულიად ეთანხმება“ (37%) ან „ეთანხმება“ (46%) ამ მოსაზრებას. მოსახლეობის მხოლოდ 3% არ ეთანხმება აღნიშულ მოსაზრებას. მეთადი კი ნეიტრალურ პასუხს აფიქსირებს. გარკვეული განსხვავებები არსებობს დასახლების ტიპის მიხედვით: თბილისსა (80%) და სხვა ქალაქებთან (81%) შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებაში ცოტა უფრო დიდი პროცენტი (86%) ამბობს, რომ ეთანხმება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას<sup>24</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას თითქმის თანაბარი უმრავლესობით ეთანხმება როგორც დევნილი, ისე არადევნილი მოსახლეობა (81%; 83% შესაბამისი თანმიმდევრობით), თუმცა საგულისხმოა, რომ არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილი მოსახლეობის მცირედით მეტი წილი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. თუკი არადევნილი მოსახლეობის 2% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ოფიციალურ დონეზე დიალოგი აუცილებელია და ის სასწრაფოდ უნდა დაიწყოს, დევნილი მოსახლეობის შედარებით მეტი წილი – 8% ავლენს იგივე პოზიციას (დანართი 1, ცხრილი 89).

რაც შეეხება ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დიალოგს, მოსახლეობის თითქმის იმდენივე წილი (84%) „სრულიად ეთანხმება“ (36%) ან „ეთანხმება“ (47%) მოსაზრებას, რომ ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ოფიციალურ დონეზე დიალოგი აუცილებელია და ის სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. ამ მოსაზრებას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი არ ეთანხმება (3%), ხოლო კვლავ თითქმის მეთადს (9%) ნეიტრალური პოზიცია აქვს ამ მოსაზრებაზე და აცხადებს, რომ „არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება“ მას. ამ შეკითხვაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

<sup>24</sup> „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ პასუხის ვარიანტების ჯამი.

განსხვავებები დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის არ გამოვლენილა (დანართი 1, ცხრილი 90). თუმცა, კვლავ არსებობს განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით: თბილისსა (81%) და სხვა ქალაქებთან (83%) შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებაში ცოტა უფრო დიდი პროცენტი (87%) ამბობს, რომ ეთანხმება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას<sup>25</sup>.

## 10. ახლებური მიდგომებისადმი მზადყოფნა. ხელშემწყობი და ხელშემშლელი მიზეზები

გამოკითხვის ბოლო ბლოკში რესპონდენტებს ვაჩვენებდით ბარათს, რომელზეც ჩამოთვლილი იყო ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება, გააუმჯობესოს ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის. რესპონდენტებს ვთხოვდით, აერჩიათ, მათი აზრით, ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ყველაზე მეტად რომელი შეუწყობდა ხელს ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ მაქსიმუმ სამი ყველაზე მეტად ხელშემწყობი ფაქტორი.

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე ხშირად დასახლებული ფაქტორი, რომელიც, მოსახლეობის აზრით, ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობებს გააუმჯობესებდა, რუსეთის ჩაურევლობაა (30%). ამასთანავე, მოსახლეობის თითქმის იმდენივე წილი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად ხელშემწყობი გარემოება, რომელიც ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს, ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებაა (29% და 28% შესაბამისი თანმიმდევრობით).

მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედისთვის ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის ყველაზე მეტად ხელშემწყობი ფაქტორი ეკონომიკური კავშირების დამყარება/გაღრმავება და ხალხის განათლებაა (26%; 24% შესაბამისი თანმიმდევრობით). ამასთანავე, მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედისთვის (18%) ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის ყველაზე მეტად ხელშემწყობი ფაქტორი კომპრომისის მოფიქრება/დათმობაზე წასვლაა. აღსანიშნავია, რომ ისეთი გარემოებები, როგორცაა ძალის გამოყენებლობის შესახებ დამატებითი იურიდიული გარანტიების მიცემა (15%), კულტურული კავშირების დამყარება/გაღრმავება (14%), საერთაშორისო აქტორების მეტი ჩართულობა (13%), და საზოგადოებაში ტოლერანტობის ხელშეწყობა (8%), ასევე დასახელდა ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობების ხელშემწყობ ფაქტორებად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, რუსეთის ჩაურევლობა ყველაზე ხშირად ახალგაზრდებმა დაასახელეს: თუკი 18-34 წლის ახალგაზრდების 37% ასახელებს ამ ფაქტორს, 35-54 წლის და კიდევ უფროსი თაობის (55+) შედარებით დაბალი წილი ასახელებს მას (24% და 31%, შესაბამისი თანმიმდევრობით). ასევე, რუსეთის ჩაურევლობა, როგორც ფაქტორი, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, უფრო ხშირად თბილისსა (34%) და სხვა ქალაქებში დასახელდა (32%), ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებებში (25%).

ამის გარდა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ახალგაზრდებთან შედარებით (24-26%), 55+ ასაკის თაობამ უფრო ხშირად დაასახელა (35%). ეს საკითხი, დედაქალაქსა (27%) და

<sup>25</sup> „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ პასუხის ვარიანტების ჯამი



სხვა ქალაქებთან (25%) შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებებში უფრო ხშირად დასახელდა (32%).

ახალი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავება დედაქალაქში (32%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (30%) უფრო ხშირად დასახელდა, ვიდრე საქართველოს ქალაქებში (22%).

ასევე, ხალხის განათლება უფროს თაობებთან შედარებით (21%), 18-34 წლის ახალგაზრდების უფრო დიდმა წილმა (29%) დაასახელა. ხალხის განათლების საკითხი, როგორც ფაქტორი, რომელიც შეუწყობს ხელს ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, დედაქალაქში დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად დასახელდა (36%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (19%) და სოფლებში (17%).

კულტურული კავშირების დამყარება/გადრმავება დედაქალაქში უფრო ხშირად დაასახელეს (20%), ვიდრე, სხვა ქალაქებსა (9%) და სოფლის ტიპის დასახლებაში (13%).

საგულისხმოა დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის არსებული განსხვავებებიც. მაგალითად, კულტურული კავშირების დამყარება/გადრმავება დაასახელა დევნილების მხოლოდ 8%-მა, როდესაც ეს მაჩვენებელი არადევნილ მოსახლეობაში შედარებით უფრო მაღალია (15%) (დანართი 1, ცხრილი 91).

გამოკითხვის ძირითადი კითხვების ბოლოს მოსახლეობას ვკითხეთ, მათი აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხრიდან რა პირობების შესრულების შემთხვევაში შეძლებდა საქართველოს ხელისუფლება მათთან დიალოგის დაწყებას ოკუპირებული ტერიტორიების მომავალი სტატუსის შესახებ. წინა შეკითხვის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც რესპონდენტებს ვაჩვენებდით ბარათს, რომელზეც ჩამოთვლილი იყო პირობები. ამ შემთხვევაშიც მაქსიმუმ სამი პასუხის ვარიანტის დასახელება იყო შესაძლებელი.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53%) მიიჩნევს, რომ თუ დევნილები დაბრუნდებიან აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სრული გარანტიით, ამ შემთხვევაში შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას დაიწყოს მათთან დიალოგი ოკუპირებული ტერიტორიების მომავალი სტატუსის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პასუხის ამ ვარიანტს, ახალგაზრდებთან შედარებით (51-52%), 55+ თაობის ადამიანები უფრო ხშირად ასახელებენ (56%). ამასთან, პასუხის ეს ვარიანტი თბილისსა (58%) და სხვა ქალაქებში (52%) უფრო ხშირად დაასახელეს, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებაში (49%). საგულისხმოა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის განსხვავებები არსებობს. არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით (53%), დევნილი მოსახლეობის უფრო მეტი წილი (57%) ირჩევს ამ პასუხის ვარიანტს.

რიგით მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული პირობა, რომელიც, მოსახლეობის აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხრიდან უნდა შესრულდეს, რუსული ჯარების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის სრულად დატოვებაა (43%). სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ამ საკითხს ყველაზე ხშირად 18-34 წლის ახალგაზრდები ასახელებენ (47%); ასევე, ქალებთან შედარებით (40%), მას მამაკაცები უფრო ხშირად ასახელებენ (46%) და სხვა ქალაქებთან შედარებით (32%), დედაქალაქსა (48%) და სოფლებში (47%) უფრო ხშირად ასახელებენ.

ამასთან, 17% მიიჩნევს, რომ თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ქართულ ენას მიეცემა სახელმწიფო ენის სტატუსი, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სტატუსზე დიალოგის დაწყება. პასუხის ამ ვარიანტს, დედაქალაქში მცხოვრები მოსახლეობა უფრო ხშირად ასახელებს (23%), ვიდრე სხვა ქალაქების (18%) და სოფლის (13%) მოსახლეობა.

ასევე, მოსახლეობის 17% აცხადებს, რომ თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონები დევნილების ქონებრივ უფლებებს დააკმაყოფილებენ (რესტიტუცია), ამ შემთხვევაშიც საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია მათთან დიალოგის დაწყება მათი მომავალი სტატუსის შესახებ. წინა კითხვის მსგავსად, პასუხის ამ ვარიანტსაც დედაქალაქში უფრო ხშირად ასახელებენ (25%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (17%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (12%), სადაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაახლოებით 1/5-ს გაუჭირდა.

ბარათზე ჩამოთვლილი დანარჩენი პირობები, როგორცაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონის რუსეთთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებებიდან გამოსვლა (16%), აფხაზეთის გალის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ახალგორის რაიონის საქართველოსთან შემოერთება (14%) და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობის მიცემა (13%), უფრო იშვიათად დასახელდა მოსახლეობის მიერ. ეს უკანასკნელი დედაქალაქში უფრო ხშირად დასახელდა (20%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (10%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (11%).

ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის რუსეთთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებებიდან გამოსვლა 18-34 წლის ახალგაზრდების 22%-მა დაასახელა, რაც 10 პროცენტული მაჩვენებლით უფრო დაბალია 35-54 წლის ადამიანების შემთხვევაში (12%). ქალებთან შედარებით (13%), პასუხის ეს ვარიანტი უფრო ხშირად კაცებმა დაასახელეს (19%). ასევე, თუკი დედაქალაქში 21% ასახელებს პასუხის ამ ვარიანტს, სხვა ქალაქებსა (16%) და სოფელში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია (12%).

რაც შეეხება აფხაზეთის გალის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ახალგორის რაიონის საქართველოსთან შემოერთებას, პასუხის ეს ვარიანტი თბილისსა (16%) და სოფლებში (17%) უფრო ხშირად გაჟღერდა, ვიდრე საქართველოს ქალაქის ტიპის დასახლებებში (7%)

ბოლოს აღსანიშნავია, რომ ამ შეკითხვაზე დევნილ და არადევნილ მოსახლეობას შორის განსხვავებები არ დაფიქსირებულა (დანართი 1, ცხრილი 92).

## დანართი 1 – რაოდენობრივი მონაცემების ცხრილები

შენიშვნა: ცხრილების თითოეულ სვეტში წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლები ჯამდება 100%-ად იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტს პასუხის ვარიანტებიდან მხოლოდ ერთი პასუხის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდა. ორი ან მეტი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, სვეტში მოყვანილი პროცენტული მაჩვენებლები 100%-ს სცდება.

**ცხრილი 1.** Q1. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ინფორმირებული ხართ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნოლები	არადევნილები
სრულად ინფორმირებული ვარ	9	15	9
გარკვეულწილად ინფორმირებული ვარ	35	35	35
ნაკლებად ინფორმირებული ვარ	37	34	37
საერთოდ არ ვარ ინფორმირებული	19	16	19
არ ვიცი	0	0	0

**ცხრილი 2.** Q2. გთხოვთ, მითხრათ, საიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი.

	სულ	დევნოლები	არადევნილები
ქართულენოვანი ტელევიზია	76	70	77
სოციალური მედია	31	36	31
ინტერნეტი, სოციალური მედიის გარდა	30	29	30
ოჯახის წევრები, თანამშრომლები, მეგობრები	12	20	11
აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანები	3	11	3
სასწავლო დაწესებულებები (სკოლა, უნივერსიტეტი) და მათი მასალები, ლიტერატურა	1	1	2
რუსულენოვანი ტელევიზია	1	1	1
სხვა	0	2	0
არ ვიღებ ინფორმაციას	1	2	1

**ცხრილი 3.** Q3. კონკრეტულად რომელი რუსული არხებიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (1%-დან, ვინც რუსულენოვანი ტელევიზია დაასახელა Q2-ში. დაბალი პროცენტული მაჩვენებლის გამო დევნილ და არადევნილ მოსახლეობად დაყოფა არ ხდება) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
RTR	45		
ORT	26		
NTV	41		
TNT	22		
Russia 1 (Россия-1)	33		
სხვა	8		

**ცხრილი 4.** Q4. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ინფორმაციას იღებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას	64	61	64
ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას	39	53	38
ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას	26	34	25
კულტურასთან დაკავშირებულ ინფორმაციას	21	23	21
ძალიან ზოგად, მცირე ინფორმაციას ვიღებ	13	10	14
არ ვიცი	1	0	1

**ცხრილი 5.** Q5. [აჩვენეთ ბარათი 5] ამ ბარათის მეშვეობით, გთხოვთ, მითხრათ, რამდენად საკმარისი ან არასაკმარისია ქართული მასმედიის მიერ ქართული საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
სავსებით საკმარისია	5	3	5
მეტ-ნაკლებად საკმარისია	33	26	33
არ არის საკმარისი	34	38	34
საერთოდ არ არის საკმარისი	24	33	23
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	0	5

**ცხრილი 6. Q6.** [აჩვენეთ ბარათი 6] რამდენად იცნობთ საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და/ან სამშვიდობო ინიციატივებს?(%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
კარგად ვიცნობ	1	2	1
მეტ-ნაკლებად ვიცნობ	29	29	29
თითქმის არ ვიცნობ	25	20	25
საერთოდ არ ვიცნობ	43	48	43
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	1	2

**ცხრილი 7. Q7.** [აჩვენეთ ბარათი 6] რამდენად იცნობთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან საექსპერტო წრეების საქმიანობას, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საკითხებზე მუშაობენ? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
კარგად ვიცნობ	1	3	1
მეტ-ნაკლებად ვიცნობ	20	15	20
თითქმის არ ვიცნობ	25	21	25
საერთოდ არ ვიცნობ	51	58	51
არ ვიცი/უარი პასუხზე	3	2	3

**ცხრილი 8. Q8.1** გსმენიათ თუ არა შემდეგი საერთაშორისო ფორმატების შესახებ? - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM). (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
დიახ	74	82	74
არა	25	17	26
არ ვიცი/უარი პასუხზე	1	1	1

**ცხრილი 9. Q8.2** გსმენიათ თუ არა შემდეგი საერთაშორისო ფორმატების შესახებ? - ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID). (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
დიახ	55	65	54
არა	44	33	44
არ ვიცი/უარი პასუხზე	1	2	1

**ცხრილი 10.** Q8.3 გსმენიათ თუ არა შემდეგი საერთაშორისო ფორმატების შესახებ? – ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM). (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
დიახ	32	34	32
არა	65	60	65
არ ვიცი/უარი პასუხზე	3	6	3

**ცხრილი 11.** Q9. გთხოვთ, მითხრათ, რომელ მოსაზრებას ეთანხმებით უფრო მეტად. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
აფხაზეთი როგორც ქართველების, ასევე აფხაზების ისტორიული სამშობლოა	54	63	54
აფხაზეთი მხოლოდ ქართველების ისტორიული სამშობლოა	44	37	44
აფხაზეთი მხოლოდ აფხაზების ისტორიული სამშობლოა	1	0	1
არ ვიცი/უარი პასუხზე	1	1	1

**ცხრილი 12.** Q10. გთხოვთ, მითხრათ, რომელ მოსაზრებას ეთანხმებით უფრო მეტად. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი როგორც ქართველების, ასევე ოსების ისტორიული სამშობლოა	47	51	47
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი მხოლოდ ქართველების ისტორიული სამშობლოა	50	44	50
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი მხოლოდ ოსების ისტორიული სამშობლოა	1	1	1
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	5	2

**ცხრილი 13.** Q11.1 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს აფხაზთან, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
თანახმა ვიქნებოდი	85	78	85
არ ვიქნებოდი თანახმა	11	18	10
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	4	4

**ცხრილი 14.** Q11.2 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს აფხაზთან, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანობები	არადევიანობები
თანახმა ვიქნებოდი	88	86	88
არ ვიქნებოდი თანახმა	8	13	8
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	1	4

**ცხრილი 15.** Q11.3 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს ოსთან, რომელიც სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანობები	არადევიანობები
თანახმა ვიქნებოდი	83	71	84
არ ვიქნებოდი თანახმა	13	27	12
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	2	4

**ცხრილი 16.** Q11.4 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს ოსთან, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანობები	არადევიანობები
თანახმა ვიქნებოდი	87	81	87
არ ვიქნებოდი თანახმა	10	17	10
არ ვიცი/უარი პასუხზე	3	2	3

**ცხრილი 17.** Q12.1 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა იმეგობროს აფხაზთან, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანობები	არადევიანობები
თანახმა ვიქნებოდი	90	83	90
არ ვიქნებოდი თანახმა	8	13	8
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	3	2

**ცხრილი 18.** Q12.2 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა იმეგობროს აფხაზთან, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანობები	არადევიანობები
თანახმა ვიქნებოდი	91	89	91
არ ვიქნებოდი თანახმა	7	9	7
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	2	2

**ცხრილი 19.** Q12.3 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა იმეგობროს ოსთან, რომელიც სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანები	არადევიანები
თანახმა ვიქნებოდი	89	81	89
არ ვიქნებოდი თანახმა	9	17	9
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	3	2

**ცხრილი 20.** Q12.4 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა იმეგობროს ოსთან, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანები	არადევიანები
თანახმა ვიქნებოდი	90	85	91
არ ვიქნებოდი თანახმა	8	13	8
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	3	2

**ცხრილი 21.** Q13.1 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს აფხაზზე, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანები	არადევიანები
თანახმა ვიქნებოდი	78	74	78
არ ვიქნებოდი თანახმა	18	22	17
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	3	4

**ცხრილი 22.** Q13.2 გთხოვთ, მითხრათ თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს აფხაზზე, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანები	არადევიანები
თანახმა ვიქნებოდი	83	82	83
არ ვიქნებოდი თანახმა	14	17	14
არ ვიცი/უარი პასუხზე	3	1	4

**ცხრილი 23.** Q13.3 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს ოსზე, რომელიც სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევიანები	არადევიანები
თანახმა ვიქნებოდი	77	70	77
არ ვიქნებოდი თანახმა	19	26	18
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	5	4



**ცხრილი 24.** Q13.4 გთხოვთ, მითხრათ, თანახმა იქნებოდით თუ არა, რომ თქვენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს ოსზე, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს. (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
თანახმა ვიქნებოდი	80	74	81
არ ვიქნებოდი თანახმა	16	21	16
არ ვიცი/უარი პასუხზე	4	5	3

**ცხრილი 25.** Q14. [აჩვენეთ ბარათი 14] რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „ქართველებსა და აფხაზებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთ (საერთო) სახელმწიფოში“? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
სრულიად ვეთანხმები	35	29	35
ვეთანხმები	48	52	48
არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	8	9	8
არ ვეთანხმები	5	7	5
საერთოდ არ ვეთანხმები	2	2	2
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	1	2

**ცხრილი 26.** Q15. [აჩვენეთ ბარათი 14] რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „ქართველებსა და ოსებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთ (საერთო) სახელმწიფოში“? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
სრულიად ვეთანხმები	34	26	35
ვეთანხმები	49	56	48
არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები	8	8	8
არ ვეთანხმები	5	7	5
საერთოდ არ ვეთანხმები	2	3	2
არ ვიცი/უარი პასუხზე	2	0	2

**ცხრილი 27.** Q16. პირადად თქვენ იცნობთ თუ არა ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობს (გარდა გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობისა)? (%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
დიახ	17	52	14
არა	83	48	85
არ ვიცი/უარი პასუხზე	1	0	1

**ცხრილი 28.** Q17. პირადად თქვენ იცნობთ თუ არა ერთ ადამიანს მაინც, ვინც ამჟამად სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (გარდა ახალგორში მცხოვრები მოსახლეობისა)?(%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთი პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
დიახ	13	19	12
არა	87	79	88
არ ვიცი/უარი პასუხზე	1	1	0

**ცხრილი 29.** Q18. ბოლო ათი წლის განმავლობაში გქონიათ თუ არა შემდეგი სახის ურთიერთობა ადამიანთან ანადამიანებთან, რომლებიც ამჟამად აფხაზეთში ცხოვრობენ (გარდა გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობისა)?(%) რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი.

	სულ	დევნილები	არადევნილები
შეხვედრიხართ პირისპირ	11	31	9
გქონიათ კონტაქტი ინტერნეტით (მაგალითად, სოციალურ ქსელში, ფორუმის მეშვეობით და ა.შ.)	8	30	7
გისაუბრიათ ტელეფონით	7	24	5

